# დროება

## ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 125 სამშაბათი, 9 ივნისი 1909 წ. № 125

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადებების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ სამჯერ 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელ არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ ... მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კაპ., ერთი თვით—1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე ღირს 5 მ. 80 კ.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5 დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба“ И. С. АГЛАДЗЕ.

## მის უწმინდესობის სომეხთა კათალიკოს პატრიარქის მიმღებ კომიტეტის ცენტრალური ბიურო

ამით აცხადებს ყველა სომეხთა და სხვა და სხვა კულტურულ და საზოგადოებრივ დაწესებულებათა საყურადღებოდ, რომ ყველა იმას, ვისაც სურს დეპუტაციის გაგზავნით მიულოცოს მის უწმინდესობას ტფ. სადგურზე ან საეპარქიო სახლის დარბაზში, ჩამოსვლის შემდეგ, უნდა წერილით აცნობოს ეს ბიუროს ივნისის 11-მდე (სომეხთა საეპარქიო სახლი) შესასვლელ ბილეთების მისაღებად. (1—6.—1)

## სახაფხულო თეატრი

შაბათს, 13 ივნისს

ავადმყოფ მსახ. ს. სვიმონიძის სასარგებლოდ

ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

## სად მიხვალ?

დრამა 5 მოქმედებად სენკევიჩის რომანისა, თარგმანი აკაკი წერეთლისა.

მონაწილეობას იღებს მთელი ამხანაგობა.

ადგილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი სწორედ საღამოს $8^{1/2}$ ს. (5—1)

დილის წარმოდგენა

## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო თეატრი

კვირას, 14 ივნისს, 1909 წ. ქართულ სახალხო თეატრის სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება

## ავაზაკები

ტრაგ. 5 მოქ. ან. ფურცელაძისა.

(სცენები ტატო წულუკიძის ცხოვრებიდან).

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი ჯაბაურისა, რჩეულოვი, მარჯანაშვილი; ბ-ნნი ჯაბაური, ევდოშვილი, გ ლიკურაშვილი, რევაზოვი, დეკანოზოვი, სალაყაია, ანაშვილი, ინაშვილი, გარსევანაშვილი, ხანდოელი, ჭანკვეტაძე, საყვარელიძე, ალექსაშვილი და სხვანი. დაწვრილებით პროგრამებში.

დასაწყისი სწორედ შუადღის 12 საათზედ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. ბილეთები გაიყიდება თეატრის კასაში ყოველდღე დილით 10—12 ს. და საღამოთი 5—7 ს.

რეჟისორი გ. ჯაბაური. (3—6.—1) გამგე გ. დეკანოზოვი.

## ვეზოში

დანიშნულია იაფობა ათი დღით

ჩულქები, წინდები ქალისა და ბავშვისა.

გიპიური პალტოებისთვის. მოსართავი ტანისამოსისთვის.

ლენტები, კრუჟევა, ხის კოლოფები.

მაღაზია ბოგარიანისა და ზახარიანცისა.

სასახლის ქუჩა, № 3. (2—286—2)

**ექიმი** მ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. პირიმზე, N 9. (უ)

**ექიმი** კბილისა ნ. რცხილაძე იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. გერ, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

**ექიმი** მ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სახელმწიფო საავადმყოფოს პირდაპირ. (უ)

**ექიმი** მ. ნ. მელიქიშვილი იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. პრიხსენ ქუჩა, N 11. (75—96)

14 ივნისიდან გამოდის იუმორისტულ-კარიკატურებიანი ჟურნალი

## მათრახი და სალამური

ჟურნალი სისტემატიურად ყოველ კვირაობით გამოვა.

ჟურნალის ფასი მთელი წლით 5 მ. ნახევარი, წლით—2 მ. 50 კ., ერთი თვით—50 კ., ცალკე ნომერი—10 კ.

მიიღება ხელის მოწერა. ვინც წლის ბოლომდე გამოიწერს და ამ თავითვე გამოგზავნის 2 მ. 50 კ., პრემიად გაეგზავნება ალმანახ „სალამურის“ გამოსული მეიდი ნომერი.

ფული და კორესპონდენციები უნდა გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით: Тифлисъ, типографія „Шрома“, рус. ул. N 3. Феофилу Ерастовичу Болкв адзе.

გაიყიდება შაბათ საღამოს 13 ივნისს „შრომის“-ს სტამბაში. (3—6.—1)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა. იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—7 საათ. ვერა, ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ. 83)

## „ტფილისის სობრანიე“

მამასახლისის საბჭო აუწყებს ბ-ნთ წევრებს, კანდიდატებს, მათ ოჯახებს და სტუმრებს, რომ საზაფხულო სადგომში ყოველ კვირის განმავლობაში გაიმართება **სამი საოჯახო საღამო:** სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით; ამასთან სამშაბათობითა და შაბათობით დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი ს. ი. პრესმანისა და ა. ი. ფიდელმანის გამგეობით, ხოლო ხუთშაბათობით—საზანდარი. (1—290—1)

სამშაბათს, 9 ივნისს, საღამოს 8 საათზე ტფ. თავად-აზნაურობის სადეპუტატო საკრებულოს სადგომში მოხდება **საზოგადო კრება**

## „ახალი კლუბის“

წევრებისა. განსახილველია შემდეგი კითხვები:

1. ახალ წევრთა მიღება.
2. კლუბის ბინის შესახებ და
3. არჩევნები ახალ საბჭოს წევრებისა, მათის კანდიდატებისა და სარევიზიო კომისიის წევრებისა.

თანახმად წესდების 29 მუხლისა, კრება ჩაითვლება კანონიერად, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. (3—6.—3)

## სტუდენტი-ფილოლოგი

კისრულობს რეპეტიტორობას და ამზადებს საშუალო სასწავლებლის ყველა კლასში. ოქრომჭედლების ქუჩა, № 23. დანდუროვი. საღამოს 5—7 საათ. (2—289—1)

ახლად გახსნილი

## ტფილისის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოკზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ი. გ. ფელდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

ვ. დ. ლამბაშიძე—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

ბ. ა. შლეპოვი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.

გ მ. მაკაროვი—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^{1/2}$—$12^{1/2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

**საღამოთი.**

ა. გ. მირზოევი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

ნ. გ. ჭიჭინაძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—6.—79)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

**რუდენკო**—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

**რიდელი**—ბავშვისა, შინაგანი. ყოველ დღე $2^{1/2}$—$3^{1/2}$ ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე $1^{1/2}$—3 ს.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბთ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

**ბოგოვსკი**—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**გორალევიჩი**—შინაგან, ყოველ დღე. $11^{1/2}$—$12^{1/2}$ ს.

**ათენიანცი**—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე $10^{1/2}$—$11^{1/2}$ ს.

**იბქ. ჩუდნოვსკი**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

**ასპისოვი** — ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

**ნოვიცკი**—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

**ჩერნიავსკაია**—კბილისა, ყოველ დღე 11—1 საათ.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—46)


## ტფილისი, 9 ივნისი

სახ. სათათბიროს სესსიის დახურვის შესახებ წერილში ჩვენ აღვნიშნეთ საზოგადო ხასიათი და მნიშვნელობა დასრულებულის სესსიის და თან განვიზრახეთ მის ზოგიერთ შედეგის უფრო ვრცელი განხილვა. ასეთი განხილვა უფრო ნათლად დაგვისურათებს რუსეთის ეხლანდელ სახალხო წარმომადგენლობის ღირსება-ნაკლულევანებას და გვიჩვენებს, თუ რა იმედების განხორციელება შეეძლება მას მომავალში.

პირველ ყოვლისა უნდა შევჩერდეთ სესსიის გარეგან მხარეებზე და აღვნიშნოთ, რომ ამ მხრით ეს სესსია უფრო ნაყოფიერია წინანდელზე. სხდომები ეხლა უფრო მეტი იყო (126), ვიდრე წინა სესსიაში (98) და საქმეებიც ეხლა გაცილებით უფრო მეტი გაირჩა, ვიდრე წინანდელს სესსიაში. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ახლად დამთავრებულს სესსიაში სათათბირომ 600-ზე მეტი წვრიმალი კანონ-პროექტი განიხილა და დაამტკიცა, მაშინ როდესაც წინად 200-მდე ძლივს მოასწრეს და დანარჩენები სულ ახლანდელ სესსიას უანდერძეს. ახლა სათათბირომ თითქმის სულ დაამთავრა იმ უთვალავი კანონ-პროექტების გარჩევა, რომელიც მთავრობამ ამ სამი წლის განმავლობაში დაამზადა თავის კანცელარია-ლაბორატორიებში. ახალგაზრდა სახალხო წარმომადგენლობა ლამის დაიხრჩო წვრიმალ პროექტების მორევში, რომელიც ბიუროკრატიამ განზრახ დააყენა, რათა სათათბიროს ყურადღება აეშორებინა უფრო მთავარ საკითხებისაგან... ახლანდელმა სესსიამ მოახერხა ამ მორევის დაშრეტა და მოადგილეს უფრო გაწმენდილი ასპარეზი დაუტოვა, რასაც უექველად თავისი მნიშვნელობა ექნება სათათბიროს მომავალ მუშაობისათვის.

გარდა წვრილ კანონ-პროექტებისა განვლილ სესსიაში სათათბირომ მეტი მთავარი საქმეებიც განიხილა, ვიდრე წინანდელ სესსიის განმავლობაში. დავასახელოთ, მაგალითად, რთული აგრარული კანონი 9 ნოემბრისა, კანონი სტაროობრიადცების შესახებ, ერთ სარწმუნოებიდან მეორეში გადასვლის შესახებ, მუშების დაზღვევისა და სხვანი. წინანდელ სესსიას ასეთი დიდი და მნიშვნელოვანი კანონები (მათ შინაგან ღირსებაზე ჩვენ არას ვამბობთ) არ განუხილავს. ასე რომ ამ მხრით, ასე ვთქვათ, გარეგან ნაყოფიერების მხრით გასულმა სესსიამ უფრო იჩინა თავი, ვიდრე წინანდელმა...

სათათბიროს ხელმძღვანელ ცენტრად, რასაკვირველია, ისევ ის ფრაქციები დარჩნენ, რომელნიც წინად იყვნენ: ოქტომბრისტები და ზომიერი მემარჯვენენი, თუმცა ამ მხრითაც უნდა აღვნიშნოთ მცირედი განსხვავება შარშანდელ სესსიასთან შედარებით. ჯერ ერთი, თვით ოქტომბრისტთა პარტია სათათბიროში ცოტათი შემცირდა: მარჯვენა ფლანგიდანაც და მარცხენა მხრიდანაც რამდენიმე კაცი გაექცა; მეორეც ის, რომ ხელმძღვანელი უმრავლესობა ცოტა არ იყოს შესუსტდა, რადგან უკიდურესი მემარჯვენენი ისეთ დახმარებას აღარ უწევდნენ, როგორც წინად. 9 ნოემბრის კანონში, საზღვაო შტაბის ბიუჯეტის საქმეში, სარწმუნოებრივ კანონპროექტებში და სხვებშიაც პურიშკევიჩის ფრაქცია საკუთარ ტაქტიკას იცავდა და ამიტომ ოქტომბრისტებსაც დასჭირდათ მარცხენა მხარეზე ეძებნად მოკავშირენი: ხან პოლონელთა და მაჰმადიანთა ჯგუფების დახმარებით, ხან მთელი ოპოზიციის დახმარებითაც გაიტანეს თავიანთი. მაგრამ, ეს უფრო შემთხვევითი მოვლენა იყო; არსებითად-კი ამ მხრით სათათბიროს ფიზიონომია არ შეცვლილა: სათათბიროს ბატონ-პატრონნი გუჩკოვ-კრუპენსკი, ზამისლოვსკი იყვნენ, რომელნიც წინანდელსავით მორჩილად მიჰყვებოდნენ სტოლიპინს. იყო მხოლოდ ერთი მომენტი, როცა ხელმძღვანელ ცენტრის მთავარი შტაბი—ოქტომბრისტთა ფრაქცია—გადაუდგა მთავრობას, მაგრამ ამაზე ქვემოდ ვიტყვით ორიოდე სიტყვას.

სხვა საპარლამენტო ფრაქციებში გასულ სესსიის ცვლილება თვალსაჩინო რამ არ მომხდარა. მხოლოდ მემარჯვენე მხარეზე მჯდომი გლეხები და მღვდლები უფრო მიიწივნენ მარცხნით ოქტომბრისტებისაკენ, თუმცა წინანდებურად ზოგ საკითხში თვალი უფრო უკიდურეს მემარჯვენეებისაკენ ეჭირათ და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა საქმე გლეხობას შეეხებოდა, ოქტომბრისტებთან ერთად იყვნენ ან კიდევ უფრო მარცხნივ სწვდებოდნენ... შემდეგ, ერთ ხან ყურადღება მიიპყრო პოლონელთა კოლოს ორჭოფულმა ქცევამ. დაიმედებული, რომ, თუ ოპოზიციას ჩამოშორდება და მთავრობის მომხრე პარტიებს დახმარებას აღმოუჩენს, თავის ეროვნულ საქმეებში რაიმე მოთხოვნას გაიტანს, კოლომ ოქტომბრისტებს გამოეარშიყა და საფუძვლიან შეთანხმების დადებაც განიზრახა. მაგრამ ამან ისეთი უკმაყოფილება გამოიწვია მთელ პოლონელ საზოგადოებაში და თვით ნაროდოვცების პარტიაშიაც, რომ კოლომ თავი დაანება უფრო მჭიდრო ხავის ჩამოგდებას გაბატონებულ პარტიებთან, ხოლო დამნაშავე ლიდერი მისი, დმოვსკი, იძულებული გახდა სრულებით გასულიყო სათათბიროდან... სხვა საოპოზიციო პარტიები მტკიცედ იდგნენ თავიანთ პოზიციებზე, ხოლო კადეტების ფრაქცია ზოგიერთ მომენტში ბევრად უფრო ბრწყინვალე და მტკიცე ოპოზიციონერობას იჩენდა, ვიდრე წინა სესსიაში, როცა უფრო იმ იმედით სცხოვრებდა, რომ, აი დღეს, აი ხვალ, ოქტომბრისტები იძულებულნი გახდებიან მემარჯვენეთ ზურგი უჩვენონ და სამაგიეროდ ხელი ჩვენ გამოგვიწოდონო.

აღვნიშნოთ კიდევ, რომ გასულ სესსიის განმავლობაშიაც უკიდურეს რეაქციას არ შეუწყვეტნია ბრძოლა საზოგადოდ სათათბიროს წინააღმდეგ: როგორც წინად, ისე ამ ხანაშიაც იგი ყოველ შემთხვევით სარგებლობდა ან შეეკვეცა ისედაც მცირე პრეროგატივები რუსეთის პარლამენტისა, ან სრულებით დაემხო სათათბირო, როგორც კანონმდებელი დაწესებულება; პირველ შემთხვევაში მან კიდეც მოახერხა ცოტა რამ და დაასუსტა სათათბიროს მნიშვნელობა (ამაზე ქვემოდ გვექნება ლაპარაკი), ხოლო მეორე შემთხვევაში ვერას გახდა ჯერ-ჯერობით: სათათბირო, დათხოვნილი საზაფხულო ვაკაციებზე, 10 ოქტომბერს ისევ იმ საკანონმდებლო უფლებით აღჭურვილი შეიკრიბება, რომელიც მინიჭებული აქვს სახელმწიფოს ძირითადის კანონებით.


## იყიდება

იაფად **სააგარაკო ადგილები,** თითო ნაჭერი 500 საჟენი და მეტი, სოფელ **თელოვანში** (ტფილისის მაზრა), ტფილისიდან 13 ვერსის მანძილზე საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილით. სააგარაკო ადგილები მაღლობზეა, 3000 ფუტზე, მდიდარი ტყითა და წყაროებით, მშვენიერი ჰავით, სანახაობით და მდებარეობით. იყიდება პატრონთან მორიგებით და ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდით; ვინც ბევრ ნაჭერს იყიდის, იმას ფასი საკმაოდ დაეკლება.

მიმართვა შეიძლება: ტფილისს, ფრეილინის ქუჩა, № 1, სახლი ბაისოლოღოვისა, რუსეთის 1-ლ ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების მთავარ კანტორაში **ზაქარია გიორგის ძეს მაღალაშვილს.** (50—6.—3)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხაროვსკი იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბოვიანის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—164)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)


## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გაზ. „ზაკავკ.“-ს მე-98 ნომერში, „მუსულმანთა შორის“-ის განყოფილებაში შემდეგი სათაურიანი შენიშვნაა:

უკანასკნელ დროს განსაკუთრებული ყურადღება მუსულმან საზოგადოებისა და პრესსისა მიქცეულია მთელ სამუსულმანო მხარის—აჭარის კულტურულად ჩამორჩენაზე. იქ ახლა არ მოიპოვება არც მექთებები, არც მედრესეები, არც ჯამეები. თუ კი სადმე არის, უყურადღებოდ არის დატოვებული და მცხოვრებლებიც არა სწყალობენ მათ ყოველ შემთხვევაში, პროგრესის ამ დარგთა მდგომარეობა ძლიერ ცუდ მდგომარეობაშია.

ინიციატივა აჭარის მდგომარეობისადმი საზოგადო ინტერესის გაღვიძებისა ეკუთვნის აჭარის საუკეთესო შვილთა. მრავალი წერილი დაბეჭდეს ამ პიონერებმა **სამშობლო კულტურისამ** (კურსივი ჩვენია) მუსულმანურ გაზეთებში და მიაპყრობინეს თვალნი ისლამის კულტურულ ძალებს თავიანთ სამშობლოსაკენ.

ამიერ-კავკასიის სხვა და სხვა კუთხიდან უკვე ხმა მისცეს მათ მოწოდებას მექთებებისა, მედრესეებისა და ჯამეების აშენების შესახებ.

ასე, მაგალითად, მუსულმან გაზეთების სიტყვით, უკვე თავიანთი წვლილი შეიტანეს—აღა-მუსა ტაგიევმა—200 მ., გულამ-ემინოვ-დერბენდსკიმ — 10 მ., მურტუზა მუხტაროვმა—100 მ. და სხვ.

ბევრი რამ არ არის საკვირველი ამ წერილში, მაგრამ ბევრი რამ მართლაც განსაცვიფრებელია. რომ აჭარის **„საუკეთესო შვილებს“** (ნეტავ ვინ არიან, ან სად არიან ეს „საუკეთესო შვილები“ აჭარისა, რომელთაც **ქართველი საზოგადოება** ვერ იცნობს „ამიერ-კავკასიაში“!!!) შეეძლოთ **თათრულ** მექთებების, ჯამეების და მედრესეების აღყვავება ესურვებინათ აჭარაში, ამ „დიად“ საქმისათვის ეზრუნათ და თხოვნით მიემართათ სხვა კავკასიელ მუსულმანთათვის, ეს არ არის გასაკვირველი, მაგრამ როდესაც გაზეთი „ზაკავ.“ ლაპარაკობს აჭარელ **„სამშობლო კულტურაზე“**, რომელიც თათრულად მიაჩნია, როდესაც იგი იხსენიებს „პიონერებს აჭარულ სამშობლო კულტურისა“, რომელთაც სურთ მექთებებით და მედრესეებით შექმნან პროგრესსი სამშობლო კულტურისა თათრულ და არაბულ ენაზე, ვინაიდან სხვა ენაზე მუსულმანური კულტურა არ არსებობს, როდესაც „ზაკ.“-ეს აჭარა მუსულმანური მხარე ჰგონია, მსგავსი თათრებისა, და ამ აზრითა სწერს აჭარის ამბავს „среди мусульманъ“,—ეს კი მართლაც საკვირველია და კაცს ეგონება სწორედ, რომ აჭარა სადღაც ბაქოს გუბერნიაშია, ან ლეკეთში და არა საქართველოს იმ ნაწილში, სადაც ქართული ენა დაცულია და თათრული არც კი იცის ხალხმა.

როდესაც ბბ. აღა მუსა ტაგიევი, გულამ-ემინოვ-დერბენტსკი და მურტუზა მუხტაროვი ფულსა სწირავენ ამ საქმეს, მათთვის „მადლობის მეტი არა გვეთქმის-რა, დარწმუნებულნი ვართ მათ კეთილშობილ და გულწრფელ გრძნობაში, მაგრამ აჭარის კულტურულ აღორძინებისა და კერძოდ სკოლების გახსნის თაობაზე აჭარაში რომ ქართველსაც რამე ეკითხებოდეს, ესეც კარგად უნდა იცოდეს მგონი გაზეთმა „ზაკავკაზიე.“-მ, მით უმეტეს რომ აჭარაზე კიდევ უფრო ქართველობას მოკლებულ ართვინის მხარის „ჰინკათ ხევის“ საზოგადოებამ ქ. შ. წ. კ. გ. სა—ს მოსთხოვა ქართულ სკოლის დაარსება, და არა ტაგიევსა, დერბენდსკისა და მურტუზა მუხტაროვს ჯამეების და მედრესეების აგება. აჭარა და ქობულეთი კი, მართალია, მუსულმანია სჯულით, მაგრამ ენით, ეროვნებითა და „კულტურით“ ვინ გაჰყო იგი საქართველოდან, გურიიდან,—ან რომელ იმის „საუკეთესო შვილს“, „სამშობლო კულტურის პიონერს“ მოუვა ფიქრად „სამშობლო აჭარულ კულტურის“ აყვავება თათრულ მექთებებითა და მედრესეებითა?..

ეჰეე!.. ეს არც ისეთი მცირე შენიშვნაა, როგორც მკითხველს თავდაპირველად ეგონება.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)
8 ივნისი

## ოსმალეთი

**სალონიკი**. სალონიკელ ალბანელთა კლუბმა ახალგაზრდა ოსმალოთა კომიტეტს წერილი გაუგზავნა. კლუბი პროტესტს აცხადებს ალბანიაში სისხლის ღვრის გამო. ალბანელთა კლუბი ჰკიცხავს ჯევად-ფაშის ექსპედიციას, წინააღმდეგია, რომ ალბანელებმა იარაღი დაჰყარონ და ოსმალებს გადასცენ და იმუქრება, თუ ექსპედიციაც არ შეჩერდება, ალბანელები არეულობას მოახდენენო.

კეპრიულის სამხედრო კომენდანტად დაინიშნა მესამე კორპუსის პოლკოვნიკი ფაიკ-ბეი, ახალგაზრდა ოსმალო. მესამე კორპუსის ბევრი აფიცერი გაიგზავნა ეპირში. ამათ დავალებული აქვთ საბერძნეთის საზღვარზე მდებარე აღელვების დამშვიდება.

**სტამბოლი**. დეპუტატთა პალატა. გარეშე საქმეთა მინისტრმა კრიტოსის შეკითხვაზე განაცხადა: სამინისტრო ამ საკითხში იმავე აზრისაა, როგორისაც დეპუტატთა პალატა და საზოგადოება; სამინისტროს გადაწყვეტილი აქვს არ დაჰკარგოს კრიტოსი. ამის შესახებ ზომები უკვე მიღებულია, მაგრამ ოსმალეთი სცდილობს მშვიდობიანობა დაიცვას. მიუხედავად ამისა, ოსმალეთი არაფერს არ დაერიდება, თუ იმის კანონიერ უფლებას ვინმე დაარღვევს. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, გაიყვანენ თუ არა სახელმწიფოები თავიანთ რაზმებს, როგორც ეს შარშან გადაწყვიტესო. ამის შემდეგ შეკითხვის ავტორმა მუსტაფა-აზიმმა სთქვა, რადგან სამინისტრო დეპუტატთა პალატის შეხედულებისაა, მადლობა გადაუხადოთო (ტაში).

აივალიკში, ბრუსის ვილაიეტში, არეულობა არ შეწყვეტილა. ბერძნებსა და ჯარს შეტაკება მოსდით. აივალიკში საალყე წესები შემოიღეს.

ადგილობრივმა კონსულებმა პროტესტი განაცხადეს ინგლისის შტატგარეშე მყოფ ვიცე-კონსულის შეურაცყოფისათვის.

**თავრიზი**. რუსის ჯარის ერთი ბატარეია და ორი როტა რუსეთში დაბრუნდა. რუსის ჯარის ბანაკი, შაჰისნება-რთვით, ბაგიშეანის ბაღის განაპირა ადგილებში გადაიტანეს.

5 ივნისს ლამეარმენიტანის უბანში თავს დაესხნენ რუსის ჯარის ყარაულებს. არავინ დაჭრილა. თავრიზის საზოგადოების აზრით, ეს პროვოკაციული მოქმედება სათარხანის და ბაგირ-ხანის თანამოაზრეებმა ჩაიდინეს. ვაჭრები, ხელოსნები და მცხოვრებთა უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ სანამ სათარ-ხანი და ბაგირ-ხანი ადერბეიჯანიდან არ წავლენ, თავრიზში მშვიდობიანობა არ ჩამოვარდება. რუსეთისა და უცხოეთის კონსულებმა, გარდა ოსმალეთისა, წერილები მიიღეს. ამ წერილებით თხოულობენ, რუსის ჯარი დაუყოვნებლივ გაიყვანონ სპარსეთიდან. სათარ-ხანისა და ბაგირ-ხანის ფიდაები, რომელთაც პოლიციელების ფორმა აცვიათ, ხალხს ფულსა სტყუებენ.

**თეირანი**. ურმიიდან იუწყებიან: თეირანიდან გამოგზავნილი 40 სალდათი მშვიდობიანად მივიდა ურმიაში. სალდათებს დაუხვდნენ რუსი და ადგილობრივ მცხოვრებნი და საკონსულო. ეს რაზმი რუს საკონსულოს დასაცველად გაიგზავნა.

**თეირანი**. ბახტიარების 400 ცხენოსანი ისპაჰანიდან კუმში წავიდა მშვიდობიანად. კუმამდე ამათ წინააღმდეგობას ვერავინ გაუწევს, რადგან კაშანიდან ამ რამდენიმე ხნის წინად გაიყვანეს მთავრობის ჯარი. კაზვინში სრული ანარქიაა. მოჰკლეს ქურთების უფროსი მიასი-ნიზამი. ქალაქის მცხოვრებლები ძალიან შეშინებულნი არიან, რადგან ელიან, რომ ბახტიარები და კაზვინელი რევოლიუციონერები ერთად იმოქმედებენო.

### საზღვარ-გარეთ.

**რეიდი შტანდარტი**. იახტა „შტანდარტზე“ გამართულ სადილის დროს იმპერატორებმა სადღეგრძელოები წარმოსთქვეს. რუსის ხელმწიფე იმპერატორმა ფრანგულად ბრძანა: „ბედნიერი ვარ, რომ შემთხვევა მეძლევა ჩვენ შორის მყოფ თქვენ უდიდებულესობას მივეგებო ამ სიტყვებით—„კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“, იმ სტუმართ მოყვარეობის საპასუხოდ, რომლითაც ორი წლის წინად თქვენ მიმიღეთ სვინემიუნდეში და რომელსაც სიამოვნებით დღესაც ვიგონებ. მე ვსარგებლობ ამ ბედნიერ შემთხვევით, რომ დავარწმუნო თქვენი უდიდებულესობა ჩემს გულწრფელობაში. ჩემი სურვილია ხანგრძლივად განმტკიცდეს ის ტრადიციონური მეგობრობა და ერთ-ერთისადმი ნდობა, რომელიც მუდამ აერთებდა ჩვენ სამეფო სახლებს და რომელიც მე მსურს დავიცვა შემდეგშიაც, როგორც თავმდები არა მარტო ჩვენის კარგ განწყობილებისა, არამედ საერთო მშვიდობიანობისაც. გულწრფელად ვიღებ ჭიქას და ვისურვებ თქვენის უდიდებულესობის, დედოფლის და მთელი თქვენი ოჯახის ბედნიერებას, აგრეთვე გერმანიის წარმატებას“.

გერმანიის იმპერატორის სადღეგრძელო: „გულს მომხვდა თავაზიანი სიტყვები, რომლითაც თქვენმა უდიდებულესობამ მომმართა მე. ამ სიტყვებისთვის მადლობას ვწირავ თქვენს უდიდებულესობას. ამავე დროს ვმადლობ თქვენს უდიდებულესობას და მათ უდიდებულესობას დედოფალს ასეთ გულწრფელ მიღებისთვის „შტანდარტზე“. თქვენ უდიდებულესობასავით, მეც ბედნიერი ვარ, რომ ამ შეხვედრაში ვხედავ ახალ და ძვირფას მაგალითს მტკიცე მეგობრობისას, რომელიც გვაერთებს ჩვენ. ესევე ამოწმებს იმ მეგობრობას და ნდობას, რომელიც არსებობს ჩვენ ქვეყნებსა და მთავრობებს შორის. ვსვამ თქვენის უდიდებულესობის, მათის უდიდებულესობის დედოფლის და მთლიად საიმპერატორო ოჯახის სადღეგრძელოს. ვისურვებ აგრეთვე რუსეთის იმპერიას წარმატებას იმ გზით, რომელიც თქვენის უდიდებულესობის სიბრძნემ დაუსახა“.

ხელმწიფეების შეხვედრას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს. სახელმწიფო მოღვაწენი, რომელნიც მათ უდიდებულესობას ახლდნენ, შეეხნენ დღევანდელ პოლიტიკურ საკითხებსაც. გამოირკვა, რომ რუსეთსა და გერმანიის შორის ამ პოლიტიკურ საკითხების შესახებ არავითარი სხვა და სხვაობა არ არსებობს.

გამოთხოვება ხელმწიფეებისა ისეთივე დიდებული იყო, როგორც შეხვედრა.

**პარიზი**. დეპუტატთა პალატა. 5 ივნისი. ფინანსთა მინისტრმა კაიომ პალატაში შეიტანა 1910 წლის ბიუჯეტი. დეფიციტი 105 მილიონ ფრანკს უდრის. მინისტრის აზრით, დეფიციტი ასე უნდა დაიფაროს: 45 მილიონი უნდა გადატანილ იქმნეს 1911 წლისთვის, 10 მილიონი შემოვა სხვა და სხვა გადასახადის გადიდებით, 9 მილიონი ძაღლების გადასახადებით და სხვა. ამას გარდა, მინისტრის აზრით, ახალი გადასახადი უნდა დაედოს ნაანდერძევ ქონებას. დეპუტატმა დელაგემ თავის სიტყვაში რესპუბლიკა გაჰკიცხა. ნაციონალისტმა გოტიეკლანემ მთავრობას უკიჟინა უსისტემობა და განაცხადა, მთავრობას ძალა არ შესწევს თავისი პროგრამმა განახორციელოსო. დეპუტატთა პალატამ მიიღო შინაგან საქმეთა, განათლებისა და იუსტიციის სამინისტროების ხარჯთ-აღრიცხვანი.

**ვენა**. („კორესპონდ.-ბიურო“) ავსტრო-ჰუნგრეთის მთავრობამ მიანდო გენერალ-ინსპექტორს, ნება დართოს სერბიის მთავრობას, გადაიტანოს სალონიკის გზით მოსული სამხედრო მასალა. ხმა დადის, რომ საფრანგეთიდან და ბელგიიდან სერბიაში დიდი სამხედრო მასალა მიდისო.

**გენტი**. აქაურმა სასამართლომ რუს ტერორისტ აბრამ მარტონშტეინს უვადო კატორგა მიუსაჯა. მარტონშტეინმა წელს 20 თებერვალს მოჰკლა ორი პოლიციელი.

### რუსეთი

**პეტერბურგი**. როგორც პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს გაუგია, ინგლისის ვიბორგელ ვიცე-კონსულს ინგლისის ელჩისთვის შეუტყობინებია, რომ ინგლისის სავაჭრო გემს რუსეთის სამხედრო გემებმა ზარბაზნები ესროლესო. ინგლისის ელჩი არტურ ნიკოლსონი ამის შემდეგ გარეშე საქმეთა მინისტრს შეჰკითხვია. გარეშე საქმეთა მინისტრს ელჩისთვის განუცხადებია, რომ საზღვაო მთავარ შტაბის ცნობებით საქმე ამნაირად ყოფილა: 3 ივნისს ინგლისის სავაჭრო გემი „გუნდბერნი“ ფინლიანდიელ ლოცმანის თანხლებით ნაპირებს უახლოვდებოდა. „გუნდბერნი“ მიდიოდა საიმპერატორო გემ „შტანდარტისკენ“. მორიგმა ნაღმოსანმა „გუნდბერნს“ ანიშნა, სხვა გზაზე წასულიყო. რადგან „გუნდბერნი“ მაინც წინ და წინვე არჩეულ გზით მიდიოდა, ნაღმოსანმა სამი გაუტენელი ყუმბარა ესროლა. ინგლისის გემი მაინც განაგრძობდა წინ-სვლას. ნაღმოსანმა გატენილი ყუმბარა ესროლა. ამავე დროს ნაღმოსანმა „ემირ ბუხარსკიმ“ შეამჩნია, რომ „გუნდბერნი“ „შტანდარტისაკენ“ მიდიოდა. „ემირ ბუხარსკიმ“ ჯერ გაუტენელი ყუმბარა ესროლა და შემდეგ გატენილი. ამის შემდეგ „გუნდბერნი“ სხვა გზით წავიდა. გენერალ-ლეიტენანტ ნილოვის ბრძანებით „გუნდბერნზე“ გაიგზავნა აფიცერი, რომელსაც დაევალა გაეგო, რა იყო მიზეზი, რომ გემი არ დაემორჩილა მორიგ ნაღმოსნების ნიშნებს. „გუნდბერნს“ დაზიანებული აქვს საბადე და სართქლე მილები და დაიჭრა კაჩეგარი. გემის კაპიტანმა განაცხადა, რომ გემს უფროსობდა ლოცმანი და იმის განკარგულებას ვემორჩილებოდით.

**პეტერბურგი**. ცეცხლი წაეკიდა რიქსის სავაჭრო სახლის შპალიერის ქარხანას. ქარხანა თითქმის სულ დაიწვა. ზარალი 400,000 მანეთს უდრის.

**ვარშავა**. 5 ივნისს ორმა ბოროტგანმზრახველმა მოჰკლა პოლონეთის რკინის გზების საკონდუქტორო ბრიგადების გამგე. ერთი მკვლელი შეიპყრეს.

**კიევი**. დაიწყო კრება იმ საზოგადოებათა დელეგატებისა, რომელნიც ექიმთა თანაშემწეების კავშირში შედიან. მოვიდა 30 დელეგატი ამ საზოგადოებიდან.

**პეტერბურგი**. ვაჭრობა-მრეწველობის საბჭომ აირჩია სახელმწიფო საბჭოს წევრების ამომრჩეველნი. ვაჭრებმა აირჩიეს ბელიაევი და ბეგნერი, მრეწველებმა ტრიპოლიტოვი და ლაბზინი.

**ოდესსა**. 36 ხმოსნის წინადადებით, ქალაქის საბჭომ დაადგინა, იშუამდგომლოს, რომ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის არჩევნის დროს ქალაქი გაიყოს ორ კურიად—ერთში მოჰყვებიან გლეხები, მეორეში დანარჩენები.

**პოლტავა**. სოფ. ფედოროვკას მახლობლად რამდენიმე შეიარაღებული კაცი თავს დაეცა კარლოვის მამულის მოსამსახურეებს, რომელთაც 4,500 მანეთი მიჰქონდათ. შეიპყრეს ორი ბოროტ-განზრახველი. ფული ვერ წაიღეს. სოფ. ხოროშკასში მოჰკლეს ეკლესიის მნათე, გასცარცვეს ეკლესია.

**პეტერბურგი**. დღე-ღამის განმავლობაში ავად გახდა 53, გარდაიცვალა 10 კაცი პეტერბურგის გუბერნიაში ამავე დროს ხოლერით ავად გახდა 7, გარდაიცვალა 1 კაცი.

**ვენა** „ნოიე-ფრეიე—პრესსეს“ სიტყვით, ხელმწიფე იმპერატორი ინახულებს იმპერატორ ფრანც-იოსებს.

**პეტერბურგი**. გარდაიცვალა პეტერბურგის უნივერსიტეტის საერთაშორისო უფლების პროფესორად ნამყოფი მარტენსი.

**ეკატერინებურგი**. ყაზანის სამხედრო ოლქის სასამართლომ დაიწყო გარჩევა „ტყის ძმების“ საქმისა. ბრალდებულთ რამდენიმე მკვლელობა და ცარცვა-გლეჯა ჰბრალდებათ. „ტყის ძმები“ მოქმედებდნენ ნადეჟდინის ქარხნის მიდამოებში. მათ უფროსობდა ლობოვი. სამართალში მიცემულია 56 კაცი, მოწმებად დაბარებულია 254 კაცი.

**პეტერბურგი**. სახელმწიფო საბჭომ მიიღო კანონპროექტი სარატოვში უნივერსიტეტის დაარსების შესახებ.

**ეკატერინოსლავი**. სადამოთი სადგურ ქოლტანა ვოლაზე გაჩნდა ექვსი შეიარაღებული კაცი. ბოროტგამზრახველებმა მგზავრები დაამწყვდიეს მესამე კლასის ბუფეტში, დაუყენეს ყარაულები, გადასჭრეს ტელეგრაფის მავთულები, აიღეს კასიდან 160 მანეთი და მიიმალნენ. წასვლის წინ ორჯელ გაისროლეს რევოლვერი და დასტოვეს ქვა, რომლითაც მგზავრებს აშინებდნენ, ყუმბარაო.

**პეტერბურგი**. დღე-ღამის განმავლობაში ხოლერით ავად გარდა 43, გარდაიცვალა 17 კაცი.

**სარატოვი**. სადგურ კოლოგრივოვკასთან მატარებლების დაჯახების დროს, უფროს კონდუქტორის გარდა, რომელიც ისე დაშავდა, რომ გარდაიცვალა, დაშავდა მატარებლეს ხუთი სხვა მოსამსახურე.

# სამწერლო შანტაჟი

საშინლად ვრცელდება ჩვენში ქუჩური მწერლობა. სწერენ და საუბედუროდ კიდეც ყიდულობენ უსინდისო სპეკულიანტების ნაჯღაბნებს. ყოვლად უაზრო, ტუტუცური ნაწერები, გამრყვნელნი,—საუბედუროდ უფრო სოფლებში ვრცელდება. სისხლი გემღვრევა, როდესაც ამნაირ გამათახსირებელ მოვლენებსა ჰხედავ. მით უფრო სამწუხაროა ეს, რომ საბრძოლველი საშუალებაც არ გაგვაჩნია. ერთად-ერი იმედი ისევ შეგნებულ საზოგადოებაზე უნდა დავამყაროთ. ვისაც კი ცოტაოდენად გული შესტკივა ხალხისთვის, უნდა ამხედრდეს ამისთანა მწერლობის წინააღმდეგ, სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიოს და სამაგიეროდ ეცადოს, რომ ხალხში ცოტად თუ ბევრად სასარგებლო წიგნები გავრცელდეს.

ხელში ერთი წიგნი ჩაგვივარდა. ეს წიგნი ვიღაც კატო კიკიანცს გამოუცია; სათაურად აწერია „მეცნიერის გამოცნობის წიგნი“.

პირდაპირ წარმოუთქმელია, როგორ შეიძლება ჰკვათა-მყოფელმა ამდენი სისულელე დასწეროს. რაღაც წარმოუთქმელი ბოდვაა, ნაგიჟარის ნაჯღაბნია. მიუხედავად ამისა წიგნს მაინც ყიდულობენ. დიდხანს ვიმაგრე თავი, რომ ამ წიგნის აღნიშვნით ძალა-უნებურად რეკლამა არ გამეკეთებინა, მაგრამ ყველაფერს

# ქართველ ერის სატირალი ნაშთები

როდესაც საქართველოს ტერრიტორიის მოსახლეობის რუკას დაჰხედავ—გული მოგიკვდება: ქართველ ტომის აღმნიშვნელი ფერადი შავი ზღვის ნაპირებიდან დაწყებული კავკასიონის მთამდე ჩრდილოეთით, ლიხის მთამდე აღმოსავლეთით და აბასთუმან-ახალციხემდე სამხრეთით კიდევ ერთნაირია, რაიცა ნიშნავს იმას, რომ კიდევ შენახულა ერთ განსაზღვრულ ადგილზე მაინც ქართველ ტომის მთლიანი მოსახლეობა. ლიხს აქეთ უკვე არეულია ფერადები, გაწყვეტილია შუა ქართლი ოსის ელემენტითა და აჭრელებულია მთელი ქართლი სომხის ელემენტითა. აგრეთვე კახეთის ასეთნაირად აჭრელებული. ზაქათალის ოლქში დარჩენილ ინგილოელთა ტერრიტორიასა და კახეთს შუა მთლიანი ტერრიტორიაა ლეკთა მოსახლეობისა. მთელი სამცხე-საათაბაგო და საბარათიანო კი ან სომეხთაგან არის დაჭერილი, ან თათრებისაგან, ან და გამაჰმადიანებულ ქართველთაგან, რომელთაც ზოგან იციან ქართული ზოგან აღარ, და რომელთაც ქართული კულტურა და ეროვნება სრულიად დაუვიწყებიათ. საცოდავ მდგომარეობაშია ამ მხრით განსაკუთრებით შავშეთი, ერუშეთი, ჯავახეთი, კლარჯეთი და სამხრეთ-დასავლეთის სხვა მხარეები ძველის საქართველოისა.

საუკუნეთა განმავლობაში მტრები მოსვენებას არ გვაძლევდნენ და სცდილობდნენ დაემხოთ საქართველო და კიდეც მიიყვანეს ჩვენი ქვეყანა ამ მდგომარეობამდე. განადგურება მთელის მხარეებისა, ძალით გამაჰმადიანება, ჩვენის დასუსტებით სარგებლობა და გაბატონება სამოთესლებულ ელემენტთა, ათასობით და ათიათასობით გადასახლება ქართველი ხალხისა უცხო ქვეყნებში,—სპარსეთში და ოსმალეთში,—აი რა იყო ჩვენი ბედი, აი რა გვატყდებოდა ხოლმე თავზე დრო-გამოშვებით, ყოველ შემოსევის შემდეგ სუსტდებოდა საქართველო, აკლდებოდა ეროვნული ელემენტი, რომელიც ან უცხოეთში მიჰყავდათ ძალით, ან ადგილობრივ აცლიდნენ ეროვნულ ენას, სულსა და გულსა, შეგნებასა და თავმოყვარეობას.

გამაჰმადიანებამ მთელს სამხრეთ-ნაწილებში შემოიტანა ოსმალური სამართალი და ენა, მოსწყვიტა ეს ნაწილები ქართულ კულტურასა და ოსმალოდ აგრძნობინა თავი. წინად კი ჩვენში ისე, როგორც აღმოსავლეთის ხალხთა უმეტეს ნაწილის შეგნებაში, სჯული იყო განმსაზღვრელი ეროვნულ ერთობისა, სჯული იყო ის უმაღლესი იდეა, რომლისთვისაც კვდებოდა მამულისშვილი და არა ეროვნებ . ამიტომაც გამაჰმადიანების შემდეგ საქართველოს საუკეთესო ნაწილმა გასწყვიტა ყოველივე კავშირი დანარჩენ საქართველოსთან და ამ უკანასკნელმაც დაივიწყა იგი. სამცხე-საათაბაგო და სხვ. „სათათრეთად“ შეიქმნა, და მით უმეტეს დარწმუნდა მის თათრობაში მთელი ქართველი ერი, რომ ისლამის გარდა ეს ნაწილი საქართველოსი ხონთქრის ძლიერების ქვეშევრდომიც იყო. გამაჰმადიანებულ და გაფანატიკოსებულ ქართველისთვის კი ეხლაც ბევრგან და ბევრისთვის გიაურნი ვართ, ხოლო მაშინ რა ვიქნებოდით—ადვილი წარმოსადგენია.

მაგრამ გაიარა დრომ. უმეტესი ნაწილი საქართველოსი რუსეთის საზღვრებში გაერთიანდა. რუსეთის კანონმა ერთის ძალით, თუმცა ჩვენთვის სრულიად უცხოთი, მაგრამ მაგრამ მაინც შეაერთა საქართველოს ნაწილები. გაიარა კიდევ დრომ და ჩვენ ოდნავ მაინც დავუახლოვდით ერთმანეთსა, გავიგეთ ერთმანეთის ავ-კარგი, უფრო ნათლად გავიგეთ ამბავი ძმათა დაკარგვისა და აგრეთვე მრავალ გადასახლებულთა ვინაობა, გადასახლების დრო და ადგილი.

აი ავერ ახლა, ამ ერთის წლის წინად ჩამოვიდნენ სპარსეთში გადასახლებული ქართველები და 500 წლის გადაკარგულები ჩვენთვის მიუვალ ქვეყანაში ვერაგ, დაულალავ ჩვენის მტრის წყეულ მარჯვენითა, ქართულად გამოგველაპარაკენ. ისინი იქ 100,000-მდე არიან, და ვინ იცის ეხლა რამდენი იქნებოდნენ, რომ გადასახლების დროს მათ მუდმივი ჟლეტა, წამება, ავადმყოფობა და ყოველგვარი ვაი-უშველებელი არ განეცადათ ერთი ადგილიდან აყრისა და მეორეზე გადასახლების დროს, სანამ ფერეიდანის მწირსა და უდაბურ ბუნების წიაღში არ შეაფარებინებდნენ თავს.

ოსმალეთში გადასახლებულთა რიცხვი ხომ უთვალავია. მრავალ ადგილას არსებობს დღეს მცირე აზიაში ქართველთა კოლონიები და მათი რიცხვიც ვიცით, თუმცა სწორი სტატისტიკით არა, მაგრამ მნახველთა პირით, დაახლოვებით მაინც. ისინი 200,000 იქნებიან, სულ მცირე რომ ვიანგარიშოთ.

ამით აიხსნება, თუ რათ არის ჩვენი ქვეყნის რუკა ასე საზარლად აჭრელებული. ანადგურებდენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მხარეებს, სწყვეტდა მტერი რომელიმე ნაწილის მთელ მოსახლეობას და ნაცვლად თავის ეულ ტომს ასახლებდა. იცვლიდა სჯულს მთელი პროვინცია და ჰკარგავდა ენასა და კულტურას, და გუშინდელი მტერი, დღეს ახალ ბატონად გამხდარი, რომ ყოველისფერს წაართმევდა ხოლმე ქართველს ენის გარდა,—ძალით ასახლებდა ქართველობას შორეულ მაზრებში და ნაცვლად იმის მიწა-წყალზე თავისიანებს ასახლებდა. ხან და ხან ქალებსაც კი ართმევდნენ ოსმალები ქართველებსა და ოსმალოს ან ქურთის ქალებს მოჰგვრიდნენ ხოლმე, რომ შემდეგ შთამომავლობისათვის სამშობლო ენა ძირიანად ამოეგლიჯათ. გაიმარჯვა რუსეთმა და უკვე გაფანატიკოსებულმა ქართველობამ მუსულმანობის დასაცველად და ქრისტიანობის შიშით ათიათასობით იწყო დენა ოსმალეთისაკენ.

ამის შემდეგ, საქართველოს რუკაზედ ქართველი ტომის აღმნიშვნელი ფერადი ვრცელი და ერთიანი უნდა იყოს საქართველოს მთელ სიგრძე-სიგანეზე? მაგრამ ეს პროცესსი ქართველის ტომის ფერადის შემცირებისა და სხვა ფერადებით შეჭრელებისა მეცხრამეტე საუკუნეშიაც გრძელდებოდა და ეხლაც სწარმოებს. სადამდის მივაღწევთ, თუ ასე ვიარეთ, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, ასე გვატარე ! ნუ თუ განსაზღვრული ფერადი, სიმბოლო ჩვენის არსებობისა კაცობრიობის აღმნიშვნელ მსოფლიო რუკაზე, სადღაც, ორი მთის შუა უნდა გამოსჭვიოდეს? მერე რისთვის ვიბრძოლეთ ორიათას წელზე მეტი, როგორც ნამდვილმა კულტურულმა ერმა, რისთვის მოგვაქვს თავი უძველეს ხალხთა არსებობის განგრძობითა, რისთვის მიგვაჩნია თავი თითქმის ერთად-ერთ ცოცხალ ერად, ცოცხალის ენითა და კულტურითა, ამდენ განსვენებულ დიდებულ და მცირე ერთა შორის?.. იმისთვის, რომ შავითა და თეთრ-წითელით აჭრელდეს ჩვენი პატარა ქვეყანა, რომელსაც კაცობრიობის წინაშე შეიძლება ნაკლები დანაშაულიც მიუძღოდეს ყველა წარსულ და აწმყო ერზე? სად არის სამართალი,—სამართალი საკაცობრიო, სამართალი საერთა-შორისო,—ან როგორც გნებავთ უწოდეთ?—არსად, გარდა საკუთარ ძალისა.—და ეს კიდევ რა,—ათას-გვარი სოფისტი, რომლის აზრიც ნებსით თუ უნებლიეთ ემსახურება კაცთა და ერთა-ყლაპია თანამედროვე სახელმწიფოებრიობას, იმასაც კი დაგიმტკიცებს, რომ შენ არავითარი უფლება არა გაქვს ცხოვრებისა, რომ შენ პატარა ხარ და რას შესძენ კაცობრიობასაო! ისე გეტყვის, თითქოს მართლაც იყოს რაღაც მისსია ცალკე ერთა, „კაცობრიობისაგან“ წინად-განსაზღვრული-თითქოს სიბევრით განისაზღვრებოდეს ერის ღირსება, თითქოს, —როგორც სამართლიანად ამბობს ერთი თანამედროვე ფილოსოფოსი,—ერთ მილიონ ქურდს უფრო მეტი ძალა არა ჰქონდეს, ვიდრე მეტი უფლება და სიმართლე!..

მაგრამ, დავანებოთ თავი ყოველსავე ამას! ძლიერ გამიტაცეს ამ ფიქრებმა და ისე ვლაპარაკობ, თითქოს მართლაც საჩივარსა ვსწერდე ჩვენის ტანჯულ ერისა რომელისამე საკაცობრიო სამართლის ბჭეთა წინაშე. დავუბრუნდეთ ჩვენი ერის ნაშთებს.

დიახ, საცოდავია ეს ნაშთები.

აგერ ფერეიდანელი ქართველი: სახე-შეცვლილი, ძალით სინიდის-სჯულ გამოცვლილი. ენით კიდევ ქართველი, მაგრამ მოწყვეტილი ქართულ მწერლობასა და ლიტერატურას.გრძნობა დამახინჯებული:—იმის მცოდნე რომ ქართველია, მაგრამ არ მცოდნე—სად არის საქართველო, რა იყო იგი, ან დღეს რა არის, სად იწყება და სად თავდება, რამდენია მისი მცხოვრები და როგორია სურათი მისის საზოგადოებრივ ცხოვრებისა; მღერალი დაკარგულ სამშობლოსი, მაგრამ სპარსულ ხმებითა, რადგან დავიწყებია, ან ძალით, მარწუხებით ამოუგლეჯიათ იმის გულიდან სამშობლო ჰანგები, რომელიც დღეს მის ყურს შეიძლება კიდეც ეხამუშებოდეს და უცნაურად ეჩვენებოდეს. მუსიკა კი ენაზე ნაკლებ არ აგრძნობინებს ადამიანს თავის ეროვნების ღრმასა და ფარულ შინაარსს, არსებასა. „ჩონ საფლავის ქვაზედა რაღაც წერია ხოლმე; ჩონ, რაღაც რო იყო ვიცოდით; მაგრამ რა იყო არა; მგონი ქართული ნაწერი იყო. ალბად ძველად იცოდნენ, ახლა კი აღარ

თავისი საზღვარი აქვს. ერთი და ორი ყოფილიყო ამისთანა წიგნი, როგორმე მოითმენდა ადამიანი; მაგრამ როგორ უნდა მოითმინო, როდესაც ხალხი განსაკუთრებით ამნაირ წიგნებსა ყიდულობს. წელიწადში ერთხელ ადამიანი წიგნის ყიდვას მოახერხებს, და მაშინაც ხელში ნაგიჟარის ნაჯღაბნი უნდა შერჩეს. დანაშაული არ არის? აი, ნიმუში კიკოიანცის ნაჯღაბნისა:

„თავი ვარ შენი თავი ვინ ვინარი თ ვი ვინ არი ვინ ვინ არი, თავი შენი ვარ ვინ არი შენ ვინახარ, მე ვარ თავი ვისი თავი ვაი შენი თავი ჩემი გოგო შენი ვისი ვარ ჩემი ჩემი თავი შენი ვა მე თავი გული შენი თავი მე ვარ შენი, თავი გული ჩემი ვა არ მოგცემ“.

ან კიდევ:

„მისცემს თავსა კატო წმინდა გულით იტყვის—ვით გაიხდის გულსა მეტად ქვეყნის გასცქერამს თავის თავსა ასცქერამს, მთლადაც მე გულს ჩავცქერამ გულის პასუხს ასე მთლათაც ქვეყანას გასცქერამს ბედის მე ნიშანს, დასცქერამს ბედავს დასცქერამს ბედის დასცქერამს გულისა ცეცხლსაც ჩასცქერამს. მაგრამ გულისა პასუხსაც შესცქერამს...“

მკითხველო! მეტის ამოწერა ვეღარ მოვახერხე, დავიღალე. უექველია შენც დაიღლებოდი კითხვით, ყველა სისულელე რომ არ ამომეწერა; ამიტომ ამ ცოტათიც დავკმაყოფილდი.

რა უნდა დაერქვას იმ ადამიანს, რომელსაც ჭკუა-გონება სრულიად დაუკარგავს და სინიდისიც ისე გამოლევია, რომ თავის აკადმყოფ გონების ნაყოფს ბეჭდავს და მყიდველთ საზოგადოება შეცდომაში შეჰყავს? ეს შანტაჟია, და საზოგადოებაც ისე უნდა გაუმასპინძლდეს, როგორც შანტაჟისტებს შეეფერება.

ა. ჯ.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **ჯოჯოხეთის მანქანა.** 6 ივნისს, ღამის 11 საათზე, ტფ. მეორე გილდის ვაჭრის სერგო ალიხანოვის სახლის შესავალში, ნიკოლოზის ქუჩაზე, ვიღაც უცნობებს დაუდვიათ ხის ყუთი, რომელიც წითელს თავსაფარში ყოფილა გახვეული. ყუთი დაჭედილი ყოფილა და შიგნიდან საათის მექანიზმისებური ხმაურობა გამოისმოდა. ყუთი მნახველებმა საშიშად მიიჩნიეს და სპეციალისტი დაიბარეს. როდესაც ყუთი ქუჩაში გადააგდეს, ძალზე იფეთქა და ახლომახლო სახლების ფანჯრები მთლად ჩალეწა. ყუთში ჯოჯოხეთის მანქანა გამოდგა. როგორც პოლიციის გამოძიებიდანა სჩანს, უცნობებს მიჰქონებიათ ეს ყუთი და რადგან რიდაცის შეშინებიათ, ყუთი ალიხანოვის სახლის შესავალში მიუტოვებიათ. არავინ დაშავებულა, თუმცა მცხოვრებნი ძალიან შეშინდნენ.

✦ **„ნოვოე-ვრემია“ და კავკასიის ადმინისტრაცია.** „კასპს“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: „ნოვოე ვრემია“-ში მენშიკოვი ჰკიცხავს კავკასიის ადმინისტრაციას. მენშიკოვი სწერს, ტფილისში ფეფელოვი მოჰკლეს და ადმინისტრაციამ შესაფერი ზომები არ მიიღოო. მენშიკოვი თხოულობს ნამესტნიკის გადაყენებას და კავკასიაში დამსჯელ ექსპედიციების გაგზავნას“.

✦ **დათხოვნა.** „ბაკუს“ სიტყვით, ამიერ-კავკასიის რკინის გზების მთავარ სახელოსნოდან ითხოვენ 150 კაცს. ადმინისტრაციას ამის მიზეზად ის მოჰყავს, რომ სამუშაო აღარ არისო.

✦ **ქალაქის წარმომადგენელნი საპედაგოგიო საბჭოებში.** მინისტრთა საბჭოს 1905 წლის 13 ნოემბრის დადგენილებით, იმ ქალაქში, სადაც თვით-მმართველობა არსებობს, ამ უკანასკნელს ნება აქვს საშუალო სასწავლებლების საპედაგოგიო საბჭოში თავისი წარმომადგენელი იყოლიოს. თავ. ალ. მ. არგუთინსკის წინადადებით, ქალაქის გამგეობამ დაადგინა, სთხოვოს ქალაქის საბჭოს, არჩეულ იქნან წარმომადგენელნი საშუალო სასწავლებლების საპედაგოგიო საბჭოებში.

✦ **სკოლა ჭინკათხევში.** როგორც მკითხველებს ეხსომებათ, წერა-კითხვის საზოგადოების მთავარმა გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა, ართვინის ოლქში, ნება დაერთოს სოფელ ჭინკათხევში ქართველ მაჰმადიანთათვის დაარსოს პირველ დაწყებითი სასწავლებელი. წელიწადია, რაც მიწერ-მოწერა გაიმართა, მაგრამ ჯერაც გადაჭრილი პასუხი არ არის მიღებული. როგორც გავიგეთ, ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექციას აღნიშნულ სოფელში უკვე დაუარსებია სამინისტრო სკოლა.

✦ **სეირნობა სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლოდ.** კვირას ტფ. სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლოდ მუშტაიდში გაიმართა სახალხო სეირნობა. თუმცა ამ დღეს ძლიერი ქარი იყო, მაგრამ ხალხი მაინც ბლომად დაესწრო. უნივერსიტეტს 1000 მან. მეტი დარჩება.

✦ **სეირნობა სომხების სასარგებლოდ.** შაბათს, 6 ივნისს, მუშტაიდში გაიმართა სახალხო სეირნობა ადანაში დაზარალებულ სომხეთა სასარგებლოდ. ხალხი ძალიან ნაკლებად დაესწრო სეირნობას. საგრამ ინიციატორებმა ხელის მოწერით 3 ათას მანეთამდე შეაგროვეს.

✦ **ნამესტნიკის წასვლა.** 15 ივნისს ფოთში სევასტოპოლიდან ელიან გემ „ერიკლიკს“, რომლითაც კავკასიის ნამესტნიკი პეტერბურგს წავა.

✦ **მეორე საავადმყოფო დუშეთის მაზრაში.** მთავრობამ გადასწყვიტა დუშეთის მაზრაში მეორე საავადმყოფო სოფელ ჰოპორტში გახსნას.

✦ **შუამდგომლობა.** როგორც „კასპს“ გაუგია, ნამესტნიკის საგანგებო საქმეთა მოხელეს აბზევს შუამდგომლობა აღუძრავს, გაზ. „კავკაზი“ იჯარით მომეცითო.

✦ **თავ. ვ. ჩერქეზიშვილი.** ქალაქის თავი თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი კვლავ მძიმედ არის ავად. 7 ივნისს თუმცა ცოტა უკეთ იყო, მაგრამ საღამოთი ისევ სიცხემ მოუმატა.

✦ **სომხეთა კათალიკოსის დახვედრა.** როგორც ვწერდით, ტფ. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ისევე მიეგებოს სომხეთა კათალიკოს მათეოს მეორეს, როგორც ამ რამდენიმე წლის წინად ტფილისში ჩამოსულ ხრიმიანს მიეგება. კათალიკოსი 14 ივნისს ჩამოვა. გამგეობის დადგენილებით, ტფ. მცხოვრებთა სახელით კათალიკოსისთვის სიტყვით უნდა მიემართნა ქალაქის თავის მოადგილეს ალ. ი. ხატისოვს. გამგეობას ეს დადგენილება ქალაქის საბჭოში უნდა შეეტანა გუშინ, 8 ივნისს, მაგრამ ეს საქმე შეჩერებულ იქნა, რადგან საგუბერნიო მთავრობამ ნება არ დართო, საკითხი საბჭოს წარედგენოდა.

✦ **სიმხეცე.** 6 ივნისს, ნაშუაღამევის 4 საათზე, ქვრივი ა. ლ. (48 წლისა) მოვიდა პოლიციის მე-10 ნაწილში და განაცხადა: 5 ივნისს, ღამის 4 საათზე, ქალაქის ღამის თავ შესაფარში მივდიოდი. დიდუბის ქუჩაზე ვიღაც უცნობმა კაცმა გამაჩერა და მიმიწვია თავის ბინაზე. როდესაც უარი უთხარი, უცნობმა ძალით შემათრია აკოპოვის საჯინიბოში, სადაც იმ დროს 7 კაცი იყო. ამათ ძალა იხმარეს ჩემზე, შემდეგ წამართვეს 50 კაპიკი, კაბა და ფუთა ნივთებისაო. პოლიციამ ამ საქმის გამო დააპატიმრა 6 კაცი, რომელნიც ქალმა იცნო. იმ საჯინიბოში, სადაც ეს მხეცური საქციელი ჩაუდენიათ, უნახავთ წართმეული ნივთები. დაპატიმრებულნი აღმოჩნდნენ ქალაქის მოიჯარადრეს აკოფოვის მეჯინიბენი ტფ. გუბერნიის მცხოვრებნი: ილიკო გონგაძე, სოლომონ მანძულაშვილი, გიორგი ნადირაშვილი, ვასილ ჩიტიშვილი და სანდრო კიმბირაშვილი.

✦ **მკვლელობა.** 6 ივნისს ღამე ასე 11 საათზე, პაულუჩის ქუჩაზე ტფ. მოქალაქის ალექსანდრე მირზოევის დუქანთან ერთმა კაცმა მაუზერი ესროლა უცნობს და სასიკვდილოდ დასჭრა, დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა. ეჭვით დააპატიმრეს მედუქნე მირზოევი და მისი ნოქარი სპირიდონ მამარდაშვილი.

✦ ტფ ქალაქის გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა, მადლობა გადაუხადოს მამაცაშვილსა და დვინიაშვილს, რომელთაც ზუბალაშვილის სახალხო სახლში გამართულ ბიბლიოთეკას სამკითხველოს შესწირეს სხვა და სხვა მწერლების ნაწერები.

✦ დღეს, 9 ივნისს, საღამოს 8 საათისთვის ტფ. სათავად-აზნაურო დეპუტატთა საკრებულოში ბარიატინსკის ქუჩაზე დანიშნულია დამფუძნებელი კრება „ახალ კლუბის“ წევრებისა. კრებაზე გარეშეებსაც შეუძლიათ დაესწრნენ. განსახილველი საგნებია: არჩევანი ახალის წევრებისა, კლუბის საბჭოს წევრებისა და მოხსენება კლუბისათვის შენობის დაქირავების შესახებ.

✦ 5 ივნისს პოლიციამ დააპატიმრა სიღნაღის მოქალაქე ეირად ფირალიანი, რომელსაც მეზობლის იგიტ ღარიბოვის დაჭრა ჰბრალდება. ამავე დღეს დააპატიმრეს ამას წინად საგენერალ-გუბერნატოროდან გაძევებულნი და შემდეგ თავის ნებით დაბრუნებულნი ოსიპ ნოვგოროდსკი და კონსტანტინე კაპუსტინი. პირველი მათგანი ტფილისის მოქალაქეს პოგრებეცკის პასპორტით დადიოდა. პოლიციის მე-8 ნაწილში ამავე დღეს დააპატიმრეს ტფ. მცხოვრები ბაღდო მესროფიანცი, რომელიც გადასახლების შემდეგ აგრეთვე თავის ნებით დაბრუნებულა.

✦ 6 ივნისს, საღამოს 7 საათზე, თომას ქუჩაზე მცხოვრებ მარიამ იუზბაშევასამ მიიღო მუშის ურის-ხადო-ოღლის ხელით მიტანილი ცარიელი კუბო, რომელიც უცნობებს იუზბაშევისათვის გაუგზავნიათ. პოლიციელებმა მუშა და ერთი ქალი, ეფროსინე კირტაძე, დააპატიმრეს.

# თავად-აზნაურთა კრება

როგორც ვწერდით 6 ივნისს ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებამ მიიღო დეპუტატთა და მარშალთა დადგენილება თავად-აზნაურთა მამულების მართვა-გამგეობის შესახებ. ამ დადგენილებით მამულებს უნდა განაგებდეს ერთი კაცი თანაშემწეთურთ, ხოლო საელექტრონო სადგურის გამგედ იქნება სპეციალისტი.

შემდეგ კრება შეუდგა თავად-აზნაურთა შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის განხილვას. მთელი შემოსავალი პროექტით მიმდინარე წელს მოსალოდნელია სულ 227,470 მან. 99 კაპ., აქედან 99,906 მან. მთელიან ბანკის წმინდა მოგებიდან, 40,000 მან. უძადლესად მოცემული ფული—1906-7 წლებისა, 58,164 მან. ქირავნების შემოსავალი და 29,400 მან.—საელექტრონო სადგურისა. ხარჯი ნავარაუდევია სულ 187,240 მანეთი 36 კაპეიკი. დარჩება 40,230 მან. 63 კაპ.. კრებას წარუდგინეს მოხსენება თავად-აზნაურობის ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ. ამ მოხსენებაში დეპუტატ-მარშალნი ამბობენ, რომ აქამდე თავად-აზნაურობა მეტს ყურადღებას აქცევდა კულტურულ დაწესებულებებს, მაგრამ დრომა და მდგომარეობამ აუცილებელი გახადა უდიდესი ყურადღება მიექცეს ჩვენის ქვეყნის ეკონომიურად აღორძინებასაო.

კრებამ გაიცნო აგრეთვე იმ პირთა და დაწესებულებათა შუამდგომლობანი, რომელთა შესახებაც ხარჯთ-აღრიცხვაში არაფერი იყო და რომელნიც დახმარებას თხოულობდნენ.

გაიმართა კამათი ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ.

თავ. დ. გ. ჯორჯაძემ სთქვა, საჭირო იყო წარედგინათ გარკვეული პროექტი ხარჯთ-აღრიცხვის განაწილება-შესრულებისა. არ არის მაგ. ნაჩვენები შემოსავალ-გასავალი ქართული თეატრისა.

მ. ვ. მაჩაბელმაც დაამოწმა უსისტემობა ხარჯთ აღრიცხვისა. მან სთქვა: ნაკლები ყურადღება აქვს მიქცეული იმისთანა საქმეებს, რასაც უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ცხოვრებისათვის. მაგ. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას ჩვენი წარმომადგენლები 300 მანეთს აძლევენ და ეს კი დიდი შეცდომაა ჩვენის მხრით. ეს საზოგადოება თავს უყრის და მეცნიერულად იკვლევს ძველს ნაშთებს და ისტორიულ საბუთებს, რომელნიც აქაიქ არიან გაფანტულნი და იკარგებიან. სულ ორი წელიწადია საზოგადოება არსებობს და უკვე რამდენიმე მეცნიერულად შესწავლილი ტომი გამოსცა. თუ გვინდა ქვეყანა შევინარჩუნოთ და სხვების აბუჩად ასაგდებად არ გავხდეთ, საჭიროა წარსულის ზედ-მიწევნით შესწავლა და მით ჩვენი უფლებების აღდგენა. არც ერთმა ჩვენგანმა არ იცის რანი ვიყავით. მე მომხრე ვარ საზოგადოებას 10,000 მან. მიეცეს. მიწად მოქმედების სამინისტროს კავკასიის რწმუნებულად ნამყოფმა ბ-ნმა მედვედევმა ძვირფასი კოლექცია შეადგინა ჩვენის წარსულ ცხოვრების ნაშთთაგან. დაუფასებელია ჩვენთვის ეს მასალა და ჩვენ ყოველი საშუალება უნდა ვიხმაროთ იმის შესაძენად. მედვედევს განუცხადებია: თუ თქვენ, ქართველები, შეიძენთ თქვენთვის დიდ საინტერესო და დაუფასებელ მასალას, სულ იაფად დაგითმობთო. ამიტომ საშუალება მიეცეთ საისტორიო საზოგადოებას შეიძინოს ეს ძვირფასი მასალა.

ი. ს. ჯაბადარმა თანაუგრძნო მაჩაბლის აზრს და სთქვა—ვისურვებ მაჩაბელმა ხშირად წარმოსთქვას ასეთი სიტყვებიო.

თავ. ივ. აბხაზმა კრებას დაუხატა არა-სასიამოვნო სურათი ქართულ გიმნაზიის მდგომარეობისა. ხარჯთ-აღრიცხვასთან კავშირი აქვს ამ საკითხსა,—სთქვა თავ. აბხაზმა, და მე მინდა გაცნობოთ საქმის ვითარება. ვკეთებთ საქმეს, მაგრამ ახლა ირკვევა, რომ ამ საქმეს ჩვენთვის კი არა, სხვისთვის ვაკეთებთ, და რომ ეს მართალია, სულ ახლო მომავალში გამოჩნდება, თუ ახლავე არ ვიღონეთ და შენობას არა მოუხერხეთ-რა. აღმშენებელმა კომიტეტმა თავიდანვე ამ შენობაზე დახარჯა 320,000 მან., მაზედვე დაიხარჯა 300,000 მან.—ქალთა კომიტეტისა, 65,000 მან.—საპენსიო კასსისა,—16,000 მან. სტიპენდიების ფონდისა. ეს ამოდენა ფულიც არ ეყო. დაკირავეს ეს შენობა ბანკში 450,000 მან. და ამბობენ სულ შენობა დაჯდა—881,000 მანეთადაო. მაგრამ ეს მართალი არ არის. შენობაზე დახარჯულა და კომიტეტს მართებს სხვა და სხვა პირებისა 63,000 მან., გასანათებელ და გასათბობ მანქანების გასაკეთებლად საჭიროა 17,300 მან., ხოლო შენობა რომ დამთავრდეს და საქმეც დარჩეს, სულ უბრალოდ რომ მოეწყოს—კიდევ საჭიროა სულ ცოტა 45,000 მან. ასე რომ შენობაზე 600,000 მანეთზე კი არა, მილიონზე მეტი დაიხარჯა. კიდევ უარესიც: შეიძლება შენობა სხვა ვინმემ ჩაიგდოს ხელში, თუ წყარო არ აღმოჩნდა. როგორც ვიცით, შენობა შემოსავლიანი არ არის, ხოლო ვალი 500,000 მანეთამდე ითვლება. თუ უოკეთ წლიური გადასახადი კომიტეტმა ბანკს არ წარუდგინა, ამოდენა შრომასა და ხარჯის ნაყოფი გაიფუჭდება. აი სადამდე მიიყვანს კაცს წინ და წინვე გაუთვალისწინებლობა და აუწონ-დაუწონლობა. უკვედავე ამას იმიტომ ვამბობ, რომ გავაფრთხილოთ თავად-აზნაურობა, რაიმე გზა ნახოს. უშუალოდ 10,000 მან. გადავდოთ გიმნაზიისათვის, სხვა შენობა ვიქირაოთ და ამ შენობაზე ხელი ავიღოთ, რადგან ძნელად თუ შევძლებთ იმის შენახვას.

ივ. რატიშვილმა სთქვა: ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენ უოველთვის ასე ვიცით: დავიწყებთ დიდის გატაცებით დიდს საქმეს, წინ და წინვე არ გავითვალისწინებთ ყოველივე წვრილმანს, ბეგმასაც არ შევადგენთ ხოლმე, როგორც ქართულ თეატრის შენობის დროს მოგვივიდა, და როცა დრმად ჩავითვლით, მაშინ მოვდივართ გონს და სანანებლსა და მწუხარებას ვეძლევით. ჯერ კიდევ ამ ერთი წლის წინად ვამტკიცებდით, რომ ჯერ გიმნაზია უნდა დავასრულოთ, მაგრამ ეს არავინ დაიჯერა და სამწუხაროდ შედეგი ეხლა თვალ-წინ გვიდგას. ყოველ შემთხვევაში ფული უნდა გადაიდოს სკოლისათვის. ორატორი თანახმა იყო მეტი დახმარება გაეწიოს საისტორიო-საეთნოგრაფიო და ფილარმონიულ საზოგადოებას.

ვ. მაჩაბელმა სთქვა: მე, როგორც საფინანსო კომისიის წევრი, უკმაყოფილებას ვაცხადებ, რომ ხარჯთ-აღრიცხვის შედგენის დროს არ მიმიწვიეს, წინააღმდეგ საზოგადოების დადგენილებისა, რომლისგანაც ჩვენ დავალებული გვქონდა ეს საქმე.

მარშალმა თავ. ბაგრატიონ-დავითაშვილმა მიუგო: როცა ჩვენ საჭიროდა ვცნობთ, მაშინ მოვიწვევთ ხოლმე საფინანსო და სატეხნიკო კომისიებს. რომ არ მოგიწვიეთ, სჩანს, საჭიროდ არა ვთვლიდით.

გ. დისამიძე- ძალიან ცუდად გიქნიათ, რომ საფინანსო კომისია არ მოგიწვევიათ. ეს კომისია იმიტომ ავირჩიეთ, რომ ყველა ამგვარმა საქმემ იმის ხელშიაც გაიაროს.

თავმჯდომარე: ეს უბრალო საქმეა. როცა საჭირო იქნება, კომისიასაც მოვიწვევთ ხოლმე.

6 ივნისს დღისით კრება გათავდა. საღამოთი კრება არ შესდგა, რადგანაც საკმაო რიცხვი არ გამოცხადდა.

7 ივნისს დილის სხდომაზე კრებამ [illegible] დეპუტატა წინადადება [illegible] შემდეგ ისევ [illegible] ხარჯთ-აღრიცხვის [illegible].

თავ. დ. ფავლენიშვილმა კრებას უჩვენა ახალი წესი ხარჯთ-აღრიცხვის შედგენისა, შემდეგ ორატორმა სთქვა: გირავნობის ფურცლები, რომელიცა გვაქვს 200,000 მანეთისა, გავანაღდოთ და იმით შევავსოთ ჩვენი საჭიროებანი. მერე, უთუოდ უნდა მივეშველნეთ „კახეთის“ საზოგადოებასა და გორის „სინდიკატს“. ამ დაწესებულებებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ჩვენთვის, როგორც ზოგიერთ ჩვენ ნაწარმოებთა ბაზრის რეგულიატორებს და ხალხის მეველვეველ ხარბების გამძევებლებსაო.

კვლავ ჩამოვარდა ლაპარაკი იმაზე, რომ საფინანსო კომისიას არ განუხილავს ხარჯთ-აღრიცხვა. ორატორები უმტკიცებდნენ დეპუტატთა და მარშალთა საკრებულოს, რომ საფინანსო კომისია უსათუოდ უნდა მიგვეწვიათ და რაკი ეს არ შესრულდა, ჩვენი დადგენილება დაარღვიეთო. ხანგრძლივ კამათისა და სხვა შენიშვნების შემდეგ კრება შეუდგა ხარჯთ-აღრიცხვის მუხლობრივ განხილვას.

ამ სხდომისა და აგრეთვე საღამოს სხდომის ამბავს ხვალ გავაცნობთ მკითხველებს.

# პატარა ფელეტონი

## ყალბი საკვები

წავიკითხე მთავრობის მოხელეების მიერ ახლად შეთხზული ჩვენი გაბედნიერების პროექტი და უნებურად თვალ-წინ გადამეშალა შემდეგი სურათი აღმოსავლეთის ცხოვრებიდან.

პურადობით მთელ თავრიზში სახელ-განთქმულ მდიდარ მოქალაქეს აბუ-იშაკს (აღდეგრძელოს იგი ალლაჰმა და გაამრავლოს იმისი შთამომავლობა, ვითარცა ქვიშანი ოკეანესანი!) ეწვია ერთხელ ბრძენი დერვიში აშიდ ჰამიმი. აბუ იშაკმა დააფაცურა თავისი ორმოცდა ათი მზარეული და მოამზადებინა ღრმად პატივცემულ სტუმრისათვის ერთი საუცხოო რამ ტკბილი კვერი, რომელიც ისე სახელ-განთქმული იყო თავრიზში, როგორც სწავლული აშიდ ჰამიმი მთელ სპარსეთის სამფლობელოში.

ბრძენმა დერვიშმა მოათალა საუცხოო ტკბილ კვერს ერთი დიდი ნაჭერი, დინჯად გადაყლაპა იგი და სახეზე მკაცრი დუმილი გამოჰხატა.

აბუ-იშაკს, რომელიც თავის სტუმრისაგან საუცხოოდ დამზადებულ ტკბილ კვერის ქებას ელოდა, მეტად გაუკვირდა აშიდ ჰამიმის უსიტყვო დუმილი და გულში გადასწყვიტა უმადურ სტუმარზე უექველად შური ეძია.

ერთი წლის შემდეგ, როცა აშიდ ჰამიმი ხელახლად ეწვია ქალაქ თავრიზს, აბუ იშაკმა ისევ დაჰპატიჟა იგი სადილად და წინ დაუდგა მაგარ ქალალდისაგან გაკეთებული და გარედან ტკბილი კვერის მსგავსად შეღებილი ყალბი საკვები.

აშიდ ჰამიმმა ვერაგულად შემზადებულ ტკბილ კვერს დიდის გაჭირვებით ერთი საკმაოდ მსხვილი ნაჭერი მოათალა, დინჯად გადაყლაპა იგი, სახეზე უზომო ნეტარება გამოჰხატა და აღტაცებულის ქებით შეამკო ტკბილი კვერი და აბუ იშაკის სახელოვანი პურადობა.

ბრძენი დევრიშის ამგვარ საქციელით შერცხვენილმა აბუ იშაკმა გაკვირვებით ჰკითხა თავის სტუმარს:

— ღრმად პატივცემულო მეგობარო! როგორ მოხდა, რომ შარშან როცა სადილად მიგიწვიე და საუცხოო ტკბილი კვერი მოგართვი, რომელსაც თვით ჩვენი დიდებული წინასწარმეტყველიც სიამოვნებით იგემებდა, შენ სდუმდი და ერთი სიტყვაც არა სთქვი კვერის საქებად. წელს კი ამ საჭმელს, სადაც სრულებით არაფერი არ არის, ასეთის აღტაცებული ქებით ამკობ?

— იმ ტკბილ კვერს, რომლითაც შარშან გამიმასპინძლდი,—უპასუხა ბრძენმა აშიდ ჰამიმმა,—არაფრად სჭიროდა ჩემი ქება, რადგან ისეთი საუცხოო რამ იყო, რომ თავისი თავი თვითონ ცამდის აიყვანა. ამ ტკბილ კვერს კი უექველად სჭირია ჩემი ქება, რადგან თავის თავს იგი ვერას გზით ვერ აქებს.

მკითხველი ნათლად ჰხედავს, რამდენად უფრო კეთილშობილია და სულით მაღალი, ჩვენ მოხელეებთან შედარებით, თავრიზის მდიდარი და პურადი მოქალაქე აბუ იშაკი. თავრიზელმა აბუ იშაკმა ერთხელ მაინც

---

ვიცით, რა არის ეს ნაწერი“,—მითხრა ერთმა აქ მყოფმა ფერეიდანელმა. ბევრი ასეთი ნაწერია არა თუ საფლავის ქვებზე თვით მათ გულზედაც, რაიცა მათ ვეღარ ამოუკითხავთ ხუთი საუკუნის შემდეგ!..

მართალია, ვცდილობთ როგორმე წავაკითხოთ მათ ეს საგულისხმიერო წარწერანი, მაგრამ წავაკითხებთ კი სრულიად ყველა წარწერას, ან რა გზაზე დააყენებს ეს წაკითხვა ამ საცოდავ ნაშთებს ქართველ ეროვნებისას,—აი რა არის საკითხავი! ჩვენი დაცემისა და გულგრილობის ამბავი რომ ვიცი, ვინ იცის, იქნებ ვერც კი წავაკითხოთ ვერაფერი, და 500 წლის ეროვნების დაკარგვის ნაცარი რომ წაჰყრია მათ გულს, ვინ იცის,—იქნებ ამ წაკითხვისაგანაც არა გამოვიდეს რა! ყოველ შემთხვევაში მაინც ჩვენი ვალია ვეცადოთ დაკარგულ ძმათა დაბრუნებასა და სრულ გადაგვარებისაგან ხსნას. ესეც ხომ შოვინიზმი არ არის? ალბად, თუ ყური ვათხოვეთ „ტიფ. ლისტოკის“ განსწავლულ ფილოსოფოსებს!..

ეხლა გასინჯეთ მეორე ადგილას დარჩენილი ნაშთები ჩვენის ერისა. ზოგან, მაგალითად, ქობულეთში და აჭარაში, სრულიად არის დაცული შავ ქრონთაგან ქართველი ერის ნაწილი,—ტიპით, ენით, სილამაზით, ზოგან მუსიკითაც კი... მხოლოდ სული ამოუცლიათ ქართული და ნაცვლად ოსმალოს სული ჩაუდგამთ. დაუცლიათ ეს ცოცხალი ჰურჰელი განსაზღვრულ ერის ადამიანისა და შიგ სხვა ერის პსიხიური შინაარსი ჩაუსახავთ და განუვითარებიათ. ამიტომაც დღეს ესენი აღარც ოსმალონი არიან, აღარც ქართველნი—რაღაც საშუალო ადამიანები, უთვისტომოთა მსგავსნი, რომელთაც აღარა აქვთ ცეცხლი კულტურულ შემოქმედებისა,—არც მწერლობაში, არც ხელოვნებაში, არც მეცნიერებაში! ზოგან ტიპი შეუნახავს ქართველსა და ენა და სხვა ყველაფერი დაუკარგავს,—მხოლოდ ლა გაუგონია, რომ ქართველი ყოფილა ოდესღაც, და ეხლაც გურჯია. მაგრამ რა არის ეს გურჯი, რას წარმოადგენს ის გურჯისტანი, რომელსაც იგი კიდეც ეკუთვნის და არც ეკუთვნის, მან არ იცის, და მწარე საგონებელშია—გურჯსაც ულიმის და ოსმალოსაც,—აღარ იცის ნამდვილად,—ვინ არის, ან ვინ უნდა იყოს. ზოგან გადასახლებულ ქართველობას დაუცავს ენა და ტიპი, მაგრამ უცხო ქვეყანაშია გადაკარგული, თუმცა მთელის სოფლობითა სცხოვრობს, და მაინც არ იცის, ვერ გაუბედნია გაამხილოს თავისი გურჯობა თუ არა, დაიარსოს ეროვნული კავშირი გაბნეულ ძმათა, თუ არა. ხომ არ იქნება ეს ოსმალეთის ღალატი? ხომ გურჯობა გიაურობას არ ნიშნავს? ხომ ქართულის სწავლის დაწყება ცოდვა არ იქნება ალლახისადმი, ან ქართული კლუბის დაარსება „ოჰთიადისადმი“? ან უარყოფა გურჯობისა საშინელი სილაჩრე ხომ არ იქნება? ლაჩრობასაც თავი დავანებოთ,—ოსმალომ ხომ იცის მისი გურჯობა და არაფრად უყვარს იგი, ესეც ხომ იცის და თავის თავს რაღაც ჰაერში დაკიდებულ არიად გრძნობს?—მაშ რა ჰქნას?! B.

(შემდეგი იქნება)

ავემა ბრძენ ამიდ ჰამიმს ღირსებით ცამდის ასული ტკბილი კვერი. ჩვენი აბუ იშაკები-კი, თუმც მუდამ ჟამს გვპირდებიან ტკბილ კვერის ჭმევას, ნამდვილად-კი მაგარ-მაგარ ქადალდე-ბისაგან შეზავებულ, ტკბილ კვერის მზგავსად გარედან შეღებილ, ჩვენის გაბედნიერების პროექტით გვიმას-პინძლდებიან, რომელთაც, ადმინის-ტრაციის განკარგულებით, მეტი გზა არაა, დიდის გაჭირვებით დიდრონ-დიდრონი ლუკმები უნდა მოვათა-ლოთ, ნეტარებით ვყლაპოთ და ცა-თამდის ვაქოთ, რადგან თავის თავს ეს საკვები ვერას გზით ვერ აქებს.

**ი. ნაკაშიძე.**

# ოსმალეთი

**ხმა ხილმი-ფაშას გადადგომაზე.**

სტამბოლში ხმა გავრცელდა, რომ მალე ხალმი-ფაშა თავის თანამდებო-ბიდან გადადგებაო. კანდიდატად მის თანამდებობაზე ასახელებენ მარ-შალ მახმუდ-შევკეთ-ფაშას.

**სენატორებს ჯამაგირები დაუკლეს.**

პარლამენტმა დაადგინა ჯამაგირი მოაკლდეს სენატორებსაო. სენატი არ დასთანხმდა ამ შემოკლებას. ამა-ზე დიდი უთანხმოება ჩამოვარდა სენატსა და პარლამენტს შორის.

**სულთანის ადიუტანტის გამა-მართლება.**

სამხედრო-საველე სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა აბდულ-ჰამიდის ადიუტანტად ნამყოფს გერ კერ-მახმედს, რომელსაც წინანდელ სულთანის ბძანებები მოჰყავდა ხოლმე აღსრულებაში.

**„იკდამ"-ის გამომცემელი გამოც-ხადდა.**

გაზ. „იკდამ"-ის გამომცემლად ნამყოფი ჯევად-ბეი, რომელიც ახალ-გაზდა ოსმალთა გამარჯვების შემ-დეგ წარსულ აპრილის დამლევს, გაიქცა სტამბოლიდან, ეხლა თავის ნებაყოფლობით დაბრუნდა სტამ-ბოლში და სამხედრო სასამართლოს წინაშე წარსდგა. ჯევად-ბეიმ გამო-უცხადა სასამართლოს, მე შეთქმუ-ლობაში გამაბა და კონტრ-რევო-ლიუციაში მონაწილეობა მიმალები-ნა ცნობილმა ქემალ-ბეიმაო.

**სკოლების საქმე.**

„რუს. სლოვო"-ს კორესპონდენ-ტი იუწყება: ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტებმა ქალ. სკოპლესა და მონასტირში ამ დღეებში თათბირი გამართეს მაკედონიის სკოლების შა-ობაზე. კომიტეტებმა დაადგინეს, სახალხო პირველდაწყებით სკოლებ-ში სწავლება ეროვნულ ენაზე სწარ-მოებდეს, ხოლო საშუალო სასწავ-ლებლებში განსაკუთრებით—ოსმა-ლურ ენაზეო. ამიტომ ჰფიქრობენ, რომ სერბთა, ბოლგართა და ბერ-ძენთა გიმნაზიებს დაჰკეტვენო. მალე ყოველნაირ სახელმძღვანელოს გა-დასთარგმნიან ოსმალურ ენაზე. მა-სწავლებლებად ოსმალეთის სკოლებ-ში უთუოდ ოსმალეთის ქვეშევრდო-მები უნდა იყვნენ. სერბები, ბოლ-გარები და ბერძნები დიდ უკმაყო-ფილებას აცხადებენ ასეთ ღონის-ძიების წინააღმდეგ".

**სამხედრო სასამართლო.**

სამხედრო სასამართლო ამზადებს ვრცელ მოხსენებას თავის მოქმედე-ბისა და ყველა გასამართლებულ რეაქციონერის შესახებ. სასამარ-თლოს სწადიან დაამტკიცოს ამ მოხ-სენებით, რომ იგი მართლმსაჯულე-ბის თანახმად მოქმედებდა.

**ჯარის ალლუმი.**

მალე ბოსფორის მიდამოებში სტამ-ბოლს ახლო გაიმართება დიდი ალ-ლუმი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს 30 ბატალიონი და 20 ბა-ტარეია, ჯარის ერთი ნაწილი იერიშს მიიტანს სტამბოლზე, ხო-ლო მეორე დაიცავს სტამბოლს. იერიშის მომტან ჯარის უფროსად იქნება პირველ კორპუსის უფრო-სია მუხტარ-ფაშა, ხოლო დამცველ ჯარის უფროსად თითონ მარშალი შევკეთ-ფაშა.

**„ნოვოე ვრემია"-ს სიცრუე.**

ახალგაზდა ოსმალთა გაზეთი „ტა-ნინ"-ი აცხადებს, რომ რუსული გაზეთი „ნოვოე ვრემია" ცრუ ცნო-ბებს ავრცელებს ოსმალეთის შესა-ხებო. მაგალითად, „ნ. ვრემია"-ში მთლად ცრუ ცნობა დაიბეჭდა, ვითომ მახმუდ-შევკეთ-ფაშას დიდი უთანხმოება მოსვლოდეს ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტთანაო.

**სომხის პატრიარქის პროტესტი.**

„ბაქუ"-ს სტამბოლელი კორეს-პონდენტი იუწყება: სომხის პა-ტრიარქმა იზმირლიანმა მაშინვე პროტესტით განაცხადა იმ ცნობის წინააღმდეგ, ვითომ იგი რუსეთს მფარველობას სთხოვდეს სომხებისა-თვის: არც ერთის კორესპონდენ-ტისთვის არ გამომითქვამს მაგისთა-ნა აზრიო.

**„დაშნაკცუთუნის" ცნობა.**

სომხის „დაშნაკცუთუნის" კომი-ტეტმა ცნობა მიიღო აინტაბიდან, ჩრდილოეთ სირიიდან, რომ ადანასა და მარაშში მომხდარ ხოცვა-ჟლე-ტის ნამდვილი მოთავენი და მონა-წილენი არ დასაჯა სამხედრო სასა-მართლომაო. ოსმალებმა მთელი ბრალი სომხებს მოახვიეს თავზეო; ბევრი პატივცემული სომეხი ჩააგ-დეს საპატიმროში. სომხები სასო-წარკვეთილებაში ჩავარდნენ. მათი ბრალი მხოლოდ ისაა, რომ იარა-ღით იგერიებდნენ მძარცველებს, რომლებიც აუპატიურებდნენ ქა-ლებსო.

ოსმალური გაზეთები თავის მხრივ ირწმუნებიან, რომ სამხედრო სასა-მართლომ მხოლოდ ის სომხები და-აპატიმრა და დასაჯა, რომლებსაც უდანაშაულო ოსმალები დაეხოცათ და ოსმალეთის მთავრობის წინააღ-მდეგ აგიტაცია გაემართათო.

**„რუსეთ-ოსმალეთის საზღვარზე".**

რუს ოქტომბრისტების გაზეთი „გოლ. მოსკვი" სწერს:

„უცხოეთის პრესის ცნობით, გერ-მანია ბეჯითად ურჩევს ოსმალეთს, რომ მან გააძლიეროს მეოთხე კორ-პუსი, რომელიც რუსეთის საზღვარს ახლო დგას, არზრუმსა და ალ-კარისს შუა.

გერმანიის ანგარიში ცხადია; მე-ოთხე კორპუსის გასაძლიერებლად ოსმალეთს დასჭირდება ჯარის გა-დაყვანა თავის ევროპიულ ვილაეთე-ბიდან, რაც გზას გაუხსნის ავსტ-რიას სალონიკისკენ. მეორე მხრით, მეოთხე კორპუსის გაძლიერების შე-მდეგ რუსეთიც იძულებული იქნება ამიერ-კავკასიის საზღვრის დამცვე-ლი ჯარი გააძლიეროს და ამის გუ-ლისთვის შეასუსტოს თავის ჯარი გერმანიის საზღვარზე.

1877 წელს, რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყების დროს ოსმალებს ამიერ-კავკასიის საზღვარზე სულ 20 ათას ჯარის-კაცამდე ჰყავდათ. ეხლა-კი ოსმალეთს შეუძლიან ომის დროს ხელად გამოიყვანოს ამ ადგილებში 135 ათასი ჯარის კაცი. მაგრამ გერ-მანიის პოლიტიკის ხელმძღვანელებს ეს ამოდენა ჯარი საკმაოდ არ მია-ჩნია; მათ უნდათ, რომ რუსეთს რაც შეიძლება მაგრად გაუკრან ხელ-ფეხი აზიასა და ევროპაში.

მეოთხე კორპუსის გაძლიერების პროექტს სტამბოლში ამ ჟამად ძლიერ ეწინააღმდეგება მესამე კორ-პუსის ახალი უფროსი, რომელიც უმტკიცებს თავის ამხანაგებს, რომ ეგ გაძლიერება არც საჭიროა და ამასთანავე საშიშიცაა, რადგან მა-შინ აუცილებლად დაგვჭირდება მაკედონიის ჯარის შესუსტებაო, ხოლო ორსავე ადგილას ბევრი ჯა-რის ყოლა-კი ოსმალეთის ფინანსე-ბის გაჭირვებულ მდგომარეობის გა-მო არ შეუძლიანო.

მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ოსმალეთის ჯარის ინსტრუქტორი გერმანელი გენერალი ფონ-დერ-ჰოლც-ფაშა, რა წამს მოვა სტამ-ბოლში, მაშინვე გაიყვანს და მალეც განახორციელებს ამ პროექტსო".

# სპარსეთის ამბები

**ახმეტ-რიზა სპარსეთის მოსარჩლედ აირჩიეს.**

სპარსეთის ენჯუმენების კრებამ თავის წარმომადგენლად აირჩია ახალ-გაზდა ოსმალთა მეთაური და ოსმალეთის პარლამენტის თავს-მჯდომარე ახმეტ-რიზა, რომელსაც სთხოვა განათლებულ სახელმწიფო-თა პარლამენტების წინაშე დაიცვას სპარსეთის თავისუფლება შაჰისა და უცხოელთა იერიშისგან.

**პროტესტი ხორციელად დასჯის წინააღმდეგ.**

ქალ. კაზვინში გამოჩენილ სპარ-სელ მოღვაწის მირზა ალი მამედის თაოსნობით და ადგილობრივ ენჯუ-მენის განკარგულებით, მთავრობისა, ხანებისა და ბეგების კერძო საპა-ტიმროებს ჩამოართვეს ჯაჭვები, ხუნდები და ჯოხები; ყველა სკო-ლებსაც (მედრესე) ჩამოართვეს ესვე იარაღი.

5 მაისს კაზვინში დიდი მიტინგი გამართეს. ორატორებმა ილაპარა-კეს ხორციელად დასჯის წინააღმდეგ და საჯაროდ მოსპეს ასეთის დას-ჯის ყველა იარაღი.

**სეპეხდარის მოწვევა.**

შაჰმა რეშტის გუბერნატორი სე-პეხდარი სტუმრად მოიწვია თეირან-ში. რუსეთის საელჩომ ურჩია სე-პეხდარს თეირანში სტუმრად მი-სვლა და ხელუხლებლობის უზრუნ-ველყოფას დაჰპირდა.

**ტელეგრაფის შეწყვეტა.**

შაჰის მთავრობის განკარგულე-ბით შეწყვიტეს ტელეგრაფის მუ-შაობა თეირანს და რევოლიუციო-ნურ ქალაქებს: კაზვინსა, რეშტსა, ენზელსა და ასტარას შორის. რე-ვოლიუციონერები ამ ჟამად სარგებ-ლობენ ტელეგრაფის პირდაპირ მავთულით, რომელიც მათ ხელში ჩაიგდეს ამას წინად.

**შეკითხვა ინგლისის პარლამენტში.**

ინგლისის პარლამენტში დეპუ-ტატები კიდევ შეეკითხნენ მთავრო-ბას, როდის წავა რუსის ჯარი სპარ-სეთიდან და ან როდის გაგვაგებინე-ბთ, რა პოლიტიკას ადგია ინგლისი სპარსეთშიო. გარეშე საქმეთა მინი-სტრი გრეი დაჰპირდა დეპუტატებს, ინგლის-რუსეთის პოლიტიკის შესა-ხებ ივლისის გასულს დაწვრილებით მოხსენებას წარმოგიდგენთო.

**ლიახოვი მიდის თეირანიდან**

ბაქოში ცნობა მიიღეს თეირანი-დან, პოლკოვნიკი ლიახოვი მალე რუსეთში დაბრუნდებაო. („ზ.")

**სპარსეთ ს ფოსტა.**

იმ უწესოების გამო, რომელიც მოედვა მთელ სამხრეთ სპარსეთს, თეირანიდან მხოლოდ უბრალო, უფულო კორესპონდენცია მიაქვს ფოსტას, ამ დღეებში ისპაჰანიდან ფოსტამ მხოლოდ ფულიან პაკეტე-ბის დაფხრეწილი კონვერტები მო-იტანა.

**გერმანიის საელჩო.**

გერმანიის საელჩომ თეირანში მი-იღო საკმაოდ ბევრი იარაღი.

**საუბარი იუსტიციის მინისტრთან.**

სპარსეთის იუსტიციის მინისტრს მუშირ-დოულეს დაწვრილებით გა-უცვნია თავისი პროგრამა „რუს. სლოვო"-ს კორესპონდენტისთვის. ჯერ კიდევ მეჯლისის მოწვევამ-დე მინისტრი აარსებს მომრიგებელ სასამართლოებს. მუშირ-დოულეს თუ დავუჯერებთ, ახალ სამინისტ-როს მდგომარეობა მეტად მკვიდ-რია. ამ ჟამად მინისტრები ბეჯითად მუშაობენ, ამზადებენ კანონ-პრო-ექტებს. ყველაზე ნაყოფიერად მუ-შაობენ თურმე სამხედრო და ხა-ხალხო განათლების სამინისტროე-ბი. საარჩევნო კანონს ამ დღეებ-ში გამოაქვეყნებენ. სესხის აღე-ბა მეჯლისის გახსნამდე, რასა-კვირველია, ეწინააღმდეგება ძირი-თად კანონებს, მაგრამ მთავრობას ამ ჟამად იმდენად უჭირს ფული, რომ თუ ეხლავე ფული არ იშოვა, მთავრობა იძულებული იქნება თავი-სი თავი კოტრად გამოაცხადოსო.

# კრიტოსის საქმე

**ოსმალეთისა და საბერძნეთის სამხედ-რო მზადება.**

ოსმალეთი ბეჯითად ემზადება საომ-რად იმ შემთხვევისთვის, თუ საბერ-ძნეთი ძალით შეიერთებს კრიტოსს. საბერძნეთის საზღვრის მხარეს ყველა გზასა და ხიდს ასწორებენ არტილე-რიის გადასატანად, კარაბურუნის სი-მაგრე უფრო გააძლიერეს, შიგ სა-ალტე ზარბაზნები დადგეს.

თუ ომი მოხდა, საბერძნეთი 60 ათასზე მეტს ვერ გამოიყვანს ბრძო-ლის ველზე. ოსმალეთს-კი მობილი-ზაციის გამოუცხადებლად შეუძლიან ამდენ ჯარის გაგზავნა მეორე და მესამე კორპუსებიდან, რომლებიც საბერძნეთის საზღვარს ახლო დგა-ნან. ამას გარდა ოსმალეთს მშვენიე-რი არტილერია აქვს, საბერძნეთი კი ამ მხრივ მეტად სუსტია.

მარშალმა მახმუდ-შევკეთ-ფაშამ პატიოსანი სიტყვა მისცა ჯარს, რომ კრიტოსს არ დავანებებთ საბერძნე-თსაო: „მე თქვენთან ერთად უკა-ნასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძო-ლებ, კრიტოსის გულისთვის, რად-გან მისი დაკარგვა, თუმცა ეს კუნ-ძული ოსმალეთის იმპერიის ერთი ბეწვა ნაგლეჯს შეადგენს, მაინც მთელის იმპერიის დამხობას გამოი-წვევსო".

5 მაისს სტამბოლიდან სალონიკ-ში გაგზავნეს რამდენიმე მატარებე-ლი, მოწყობილი დაჭრილების გადა-საყვანად.

საბერძნეთის მთავრობამ 5 სამთო ბატარეა შეუკვეთა ინგლისს.

**ბოიკოტი.**

მაკედონიაში თან და თან ძლიერ-დება მტრობა ბერძნებისადმი. დრა-მასა და სტრუმიცაში ოსმალებმა ბოიკოტი გამოუცხადეს ბერძნის ვა-ჭრებს.

# წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლა

(წერილი რედაქციის მიმართ)

ბ-ნმა ტ—მ პირველმა მიაქცია სა-ზოგადოების ყურადღება წინამძღვარი-ანთ-კარის სამეურნეო სკოლის მდგო-მარეობას, გულის ტკენით აღნიშნა, რომ ამ სკოლამ მოსალოდნელი და სა-სურველი ნაყოფი ვერ გამოიღო ამ 25 წლის განმავლობაშიო („დროება" № 54). ბ-ნმა ლ. მაზრელმა დაადას-ტურა მისი ნათქვამი („დროება" № 84 და 85). ბ-ნი ნ. კალანდაძე მათ მი-დგომილ მსჯელობას და რაღაც ცუდ განზრახვას სწამებს და დონკიხოტო-ბას უკიჟინებს, არ არსებულ ნაკლუ-ლოვანებას ებრძვითო („დროება" № 111, 112 და 113). ვისაც წაკითხუ-ლის გაგების უნარი არ დაჰკარგვია, ის ვერავითარ ცუდ განზრახვას ვერ ამოიკითხავდა ხსენებულ ავტორთა წერილებიდან. მათი წერილები სკო-ლის სახელის გატეხისა და ი. ი. წინა-მძღვრიშვილის მოღვაწეობის „დაჩრ-ხვლის" სურვილით კი არ არის ნა-კარნახევი, როგორც ეს ბ-ნ კალან-დაძეს ჰგონია. მათი მიზანი, ჩემის აზრით, ფრიად პატივ-სადებია, სახელ-დობრ: მათ მოუწადინებიათ, სკოლის ნაკლულოვანებათა ჩვენებით ქართველ საზოგადოების ყურადღება მიაპყრან ამ ფრიად სიმპატიურ დაწესებულებას, რომ ყოველი ღონე იქმნას მიღებუ-ლი მის სასურველ დონეზე დასაყენე-ბლად. განა ამიტომ გაკიცხვის ღირს-ნი არიან? მოყვარეს პირში უძრახვენ, მტერს პირს უკანაო, ნათქვამია.

სიმართლის გზა მუდამ ეკლითაა მოფენილი, მართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდეს, შეჯდეს და გაჰქუსლოს... ვიცი, მეც დამემ-დურებიან, მაგრამ ხსენებულ სკოლის კეთილდღეობის და წარმატების სურ-ვილი მაიძულებს ხმა ამოვიღო.

სიმართლე არ იქნება სთქვას კაცმა, წინამძღვარიანთ-კარის სკოლაში მე-ურნეობა სამაგალითოდ არის მოწყო-ბილიო. არც ერთი დარგი მეურნეო-ბისა სასურველ ნიადაგზე არ არის და-ყენებული. ვენახი და ხეხილის ბაღი ბლეხს უფრო უკეთ აქვს მოვლილ-შემუშავებული, ვიდრე სასწავლე-ბელს, რომელსაც სამაგალითოდ მო-წყობილ მეურნეობის ნიმუში უნდა ეჩვენებინა მოსწავლეთათვის და გარე-შემო მცხოვრებთათვის. მეფუტკრეო-ბა სახსენებელიც არ არის, ისეთს უნუგეშო მდგომარეობაშია. სამართ-ლიანად ამბობს ბ-ნი ლ. მაზრელი: „სკოლამ ჯერ საკუთარი თაფლის გე-მოც არ იცისო" („დროება" № 84), თუმცა იქვე გვერდით მღ. ა. ჯალია-შვილს, რომელიც ამ სკოლაში, სალ-მრთო სჯულის გარდა, მეფუტკრეო-ბის მასწავლებლადაც ითვლება, თა-ვის ეზოში მეფუტკრეობა მშვენივ-რად მოუწყვია და კაი შემოსავალიც აქვს. არც ამერიკულ ვაზის სანერგე, არც საუკეთესო ჯიშის ხეხილის ნამ-ყენები სკოლას არ აქვს, რომ თითო-ნაც ესარგებლნა და ხალხშიაც გაე-ვრცელებინა. ასე გასინჯეთ, სკოლა იძულებულია საკუთარ ბაღისთვის სა-ჭირო ნამყენებიც კი სხვაგან იყიდოს, ერთის სიტყვით, სიმართლეს სწერს ბ-ნი მაზრელი, რო თითქმის „გავერა-ნებულ ოჯახის კარმიდამო გვხვდებათ აყვავებულ სასოფლო-სამეურნეო სკო-ლის ნაცვლად" („დროება" № 84).

იქნება იფიქროს ვინმემ, სკოლა ამ უკანასკნელ წლებში დაქვეითებუ-ლაო. არა, ბატონებო, ყოველთვის ასე იყო.

რა თქმა უნდა, ამგვარად მოწყობი-ლი სკოლა ჯეროვან გავლენას ვერ იქონიებდა გარშემო მდებარე სოფ-ლებზე, ვერც მოწაფეებს მიიზიდავდა სპეციალურ განყოფილებებში. ამ მი-ზეზით აიხსნება ის გარემოება, რომ ასე მცირეა ამ სკოლაში კურს დამთა-ვრებულთა რიცხვი (სულ 83 კაცს დაუმთავრებია სწავლა 25 წლის გან-მავლობაში).

რამ შეჰქმნა ასეთი მდგომარეობა სკოლისა? რა ჭიამ ღრღნა ეს ფრიად სიმპატიური დაწესებულება და გასა-ქანი არ მისცა წარმატების გზას დას-დგომოდა? რად ხდება, რომ ერთს წელს გაკეთებული მეორე წელს თი-თქმის სრულიად ისპობა და შრომა და ხარჯი მუქთად მიდის? რად გაურ-ბიან ამ სკოლას მასწავლებლები, რო-გორც ეს ბ-მა მაზრელმა აღნიშნა? („დროება" № 85). რამ შეჰქმნა ის ატმოსფერა, რომელიც აძნელებს მასწავლებელთა მოღვაწეობას სკო-ლაში და აიძულებს მათ, თვალი სხვა მხრისკენ ეჭიროთ? ყველა ამის მიზეზთა გამორკვევა მეტად საი-ნტერესოა, რათა მათის თავიდან აშო-რებით სკოლას გზა გაეხსნას, რომ წა-რმატებისა და საკუთარ მეურნეობის რიგიანად მოწყობით მეტი სარგებ-ლობის მოტანა შეიძლოს.

ბ-ნი ლ. მაზრელი სკოლის უკან ჩა-მორჩენისა და უნაყოფობის მიზეზ-ბად ასახელებს უგზოობას და უწყლო-ბას. მართალია, ერთიც და მეორეც მეტად ხელ-შემშლელი პირობებია, მაგრამ, ჩემის აზრით, მთავარი მიზე-ზები **უსახსრობაში, რაც ბ-ნმა კალან-დაძემ კიდეც აღნიშნა, და სკოლის მართვა-გამგეობის წესის უვარგისობა-ში** უნდა ვეძიოთ.

წინამძღვარიანთ-კარის სკოლის ყოფილი **მასწავლებელი.**

(დასასრული იქნება)

# რუსეთი

✦ **ქალთა საექიმო უმაღლესი კურ-სები.** „რეჩის" სიტყვით მომავალ სამო-სწავლო წლიდან მოსკოვში იხსნება ქალ-თა უმაღლესი საექიმო კურსები. კურსებს ხსნიან პრივატ-დოცენტი სტატკევიჩი და ექიმი იზაჩიკოვი.

✦ **მემარჯვენების შუამდგომლობა.** მემარჯვენეებს საერო განათლების მი-ნისტრთან უშუამდგომლიათ, უნივერსიტე-ტებში სემინარიელებს ნუღარ მიიღებთო.

✦ **საერო განათლების მინისტრი.** პეტერბურგში ხმა გავრცელებულა, რომ საერო განათლების მინისტრი შვარცი თა-ვის თანამდებობას თავს ანებებსო.

✦ **შმიდტი.** როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველს მოეხსენება, ამ რამდენიმე ხნის წინად მინსკის ქალაქის თვითმართველო-ბამ დაადგინა, ცნობილი შავრაზმელი შმიდტი (მეორე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად იყო, მაგრამ სათათბირომ მი-სი არჩევნები უკანონოდ იცნო და სათათ-ბიროდან გამორიცხა), ქალაქის თვითმართ-ველობის ხმოსანთა რიცხვიდან ამოშა-ლოს. შმიდტი ისე გააბრაზა ამან, რომ ქალაქის საქმეთა გამგეობასთან იშუამდ-ლა, ნება მომეცით ქალაქის თვითმართ-ველობა სამართალში მივცეო. „კას-პის" სიტყვით შმიდტის შუამდგომლობა არ შეუწყნარებიათ.

✦ **ახალი შევიწროვება.** „კასპს" პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: „კიევის საპოლიტეხნიკო ინსტიტუტში ებრაელებს წრეულ აღარ მიიღებენ. მიზე-ზი ის არის, რომ მთავრობის განკარგუ-ლებით კიევის საპოლიტეხნიკო ინსტი-ტუტში ებრაელების მისაღებად 5% ნორმა შემოიღეს. წინად 15% ნორმა იყო.

✦ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: მოსკოვში 1, ხარკოვში 2, უფაში 1, ეკატერინოსლავ-ში 2, პეტერბურგში 1, კიევში 1, ორი-ოლში 2 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: ოდე-საში 1, კიევში 1, უფაში 3, პეტერბურგ-ში 1, ვარშავაში 2, კამენეც-პოდოლსკში 2 კაცი.

✦ **გადასახლებული ებრაელები.** დე-პუტატ ბელოუსოვს იგორიდან შემდეგი წერილი მიუღია: ადგილობრივმა გუბერ-ნატორმა პოლიტიკურად გადმოსახლებულ ებრაელებს აუკრძალა ერთი ადგილიდან მეორეში გადასვლა. გუბერნატორი იმით ასაბუთებს ამას, რომ ებრაელებს ყველგან არ შეუძლიანთ ცხოვრებაო. ებრაელები გადმოსახლებულები შიმშილით იხოცე-ბიან, რადგან სამუშაოდ ვერსად მიდიან. გთხოვთ უშველოთ რამე". საინტერესოა, იგორში-კი შეუძლიანთ ებრაელებს ცხოვ-რება? იქნება ესეც აკრძალულია?

✦ **მეფიების ჩამორჩენა.** „[illegible] მიას" სიტყვით ზაფხულში რუსეთში ჩა-მოვლენ დანიის ... ... მეფენი.

✦ **ახალი საუნივერსიტეტო წესდე-ბა.** ამ რამდენიმე ხნის წინად ხმა გავრ-ცელდა, რომ ახალ საუნივერსიტეტო წეს-დებას 87 სტატიის ძალით განახორციე-ლებენო, მთავრობის ცნობათა ბიუროს სიტყვით ეს ხმა ტყუილია, ამ წესდებას სახელმწიფო სათათბიროს გადასცემენ გან-სახილველად.

✦ **„ჭეშმარიტ რუსთა კავშირი" და სტოლიპინი.** „ჭეშმარიტ რუსთა კავში-რის" ასტრახანის განყოფილებას პრემიერ-მინისტრ სტოლიპინისათვის წერილი მი-უწერია. წერილში განყოფილება სტოლი-პინს ეკითხება, რა პირობით იხელმძღვა-ნელა მთავრობამ, როდესაც სამშობლოს გამყიდველ ოქტომბრისტების პარტიასთან შეკავშირდა და მასთან ერთად უკანონოდ მოქმედებსო. სტოლიპინს ეს წერილი გან-ყოფილებისათვის უკან დაუბრუნებია, მთავრობის შეურაცყოფააო. განყოფილე-ბას ეს წერილი ხელმეორედ გაუგზავნია სტოლიპინისთვის და თანაც სათათბიროს მემარჯვენეთა ფრაქციისათვის მიუმართავს, შეიტანეთ შეკითხვა, თუ მთავრობა რა მიზეზით შეუერთდა ოქტომბრისტებს, ლე-გალურად გამოაცხადა მათი პარტია, რომე-ლიც თვითმპყრობელობის მოსასპობად მუ-შაობს. ამასთან განყოფილება სთხოვს მე-მარჯვენეებს, მოაგონებთ მთავრობას, რომ ასეთი მოქმედება რუსეთის კანონების ძა-ლით სიკვდილით ისჯება.

✦ **პურიშკევიჩის წერილი.** როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველს მოეხსენება, პუ-რიშკევიჩს სასამართლომ ფილოსოფოვას და ქალთა კრების შეურაცყოფისათვის ერთი თვით დაპატიმრება მიუსაჯა. პუ-რიშკევიჩის ვექილმა კამენევმა მიტროპო-ლიტ ანტონის წერილით მიმართა, შეა-რიგეთ პურიშკევიჩი და ფილოსოფოვაო. პუ-რიშკევიჩი ამის შესახებ სწერს (იგი ამ ჟამად საავადმყოფოში წევს, სადაც მას ოპერაცია გაუკეთეს): მე კამენევისთვის ამისთანა რამ არ მიმინდვია, ის თავისით მოქმედებს. ასეთი შუამდგომლობა ჩემ ინტერესების წინააღმდეგია. მე გადავიხდი სასჯელს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე სასამართლოს განაჩენი სამართ-ლიანად მიმაჩნდეს და ვითომ ეს იმას ნიშ-ნავდეს, რომ მე ჩემ შეხედულებას გამო-ვიცვლი, პირ-იქით ამის შემდეგ უფრო დავრწმუნდები, რომ ქალთა კრებას ნამდ-ვილი, შესაფერი სახელი-უწოდე".


# განცხადებანი

**პირველი კერძო სამკურნალო დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დილით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირუ-რგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბე-ბიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირი-სა და ყელისა.

**მ. გ. აგეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კა-ნისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.

**ა. მ. ტურხოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**საღამოთი:**

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგა-ნი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონ-სულტაციები და ოპერაციები შეთანხმე-ბით. სამკურნალოს დოქტორი

მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

(ნ.—1—103)

# ჯილდო 5 მანეთი

ვინც მოიტანს დაკარგულ პაპკას ქაღალდებით და პლანით. ადრესი: მიხაილოვსკის პროსპ. 110, მახლის პატრონი. (1—1043—1)

# ბაღი-რესტორანი

**ამხანაგობის**

# „იუჟანე"-ში

სახაზლის ქ., ქართველ თავ.-აზნა-ურთა საზაფხულო თეატრთან. ბა-ღში ყოველ დღე დღისით 2—4 ს. და საღამ. 9—2 ს. უკრავს ორკეს-ტრი ბ-ნ შ. ფალიაშვილის ლოტბა-რობით. **ბაღში შესვლა უფასოდ.**

სადილები: 2 კერძი—60 კ., 3 კერ-ძი—80 კ., 4 კერძი—1 მან. ყოველ გვარ საჭმელ-სასმელზე არის ცალ-კე „პარტიონები" და „პრეისკურან-ტები". ფასები ზომიერია.

(50—გაგ.—2)